საქართველოს სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

სამშაბათი, 25 მაისი 1920 წ.

ერთობა

ფასი 3 მანეთი

[illegible] 1 თვით 75 მანეთი, [illegible] 3 მანეთი. განცხადებების [illegible] 5 მანეთი, [illegible] 6 მან. სამგლოვიარო განცხადება [illegible] 15Х3 სტრიქონის [illegible] 100 მანეთი. [illegible] განცხადებები არ [illegible], რედაქცია და კანტორის [illegible]: ერთობის ქუჩა № 4 [illegible] 9—12 [illegible]. ტელეფონი 16—23

№ ~~114~~ 115

ორგანო საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციებისა

№ 114

დროებითი ზავი არ ნიშნავს შერიგებას,

არ ნიშნავს მტკიცე მშვიდობიანობის დამყარებას.

პირიქით, ნამდვილი ზავი მაშინ იქნება, როცა მტერი იგრძნობს, რომ მოწინააღმდეგე ერთსულოვანი და შეუდრეკელია.

დამწუხრებული და სასოწარკვეთილი [illegible] ძე [illegible] და მისი დაობლებული [illegible] შვილები [illegible] ნათესავ მეგობრებს უდროოდ გარდაცვალებას [illegible] მეუღლისა და უკანასკნელი საყვარელი დედისას

ევგენია სპირიდონ ჯაფარიძის ასული ჭყონიასას

დაკრძალვა ს. [illegible] სამშაბათს, 25 მაისს [illegible] ეკლესიის გალავანში. (ფ. 1—1)

მწუხარებით მეუღლე: მამა გაბრიელ, დედა ასმათი, ქვრივი [illegible] შვილით, ძმები: პლატონ, ალექსანდრე და გრიშა, დები: [illegible], ვარლო, ტერეზა და ტასო მდინარაძეები, სიძეები: [illegible], [illegible] შვილი [illegible] და [illegible], ამით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხუთშაბათს 27 მაისს გადახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი ტრაგიკულად დაკარგულის

სამსონ გაბრიელის ძე მდინარაძის

[illegible] (ბურთი) (1676 1—1)

ღრმად დამწუხრებული [illegible] ძე და [illegible] ძე [illegible], [illegible] და [illegible] მეუღლე, [illegible] და [illegible] აუწყებენ ყველა ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელი და დაუვიწყარი

ფოტინე ყარამანის ასული სერგიასა

რომლის უკანასკნელი გამოსვენება და დაკრძალვა [illegible] სამშაბათს 25 მაისს ქ. ზუგდიდში. (1677 1—1)

თბილისის [illegible] პროფესიონალური კავშირი მწუხარებით აუწყებს ამხანაგებს ძვირფასი ამხანაგის და კავშირის [illegible]

გრიგოლ (გრიშა) მეთოდეს ძე ჩიქვაიძის

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა მოხდება ქ. ქუთაისში სამშაბათს მაისის 25 ს. 1678 1—1

ღრმად დამწუხრებული [illegible] (სოსო) [illegible], [illegible] სტეფანეს ძენი ფირალოვები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ ქ. ქუთაისში გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი მათი მამა [illegible] ქ. ქუთაისში [illegible]

სტეფანე პეტრეს ძე ფირალოვი

გასვენება [illegible] საკუთარ სახლიდან ქართულ კათოლიკეთა ეკლესიაში სამშაბათს 25 მაისს, დილის 10 საათზე (1681 1—1)

შრომის სამინისტროსაგან

თანახმად სატარიფო პალატის 21 მაისის დადგენილებისა ყველა დამქირავებელმა (საზოგადო და კერძომ), ვისი მუშები და მოსამსახურეებიც კი სარგებლობდნენ სახელმწიფო მომარაგების ფონდით, დაუყოვნებლივ

შემოიტანონ ახალი გადასახადი

1000 მან. თვიღეულ კაცზე არა უგვიანეს 1-ლ ივნისისა.

თუ 1-ლ ივნისამდი არ იქმნა წარმოდგენილი გადასახადი, შემდეგ ამისა სურსათი არ მიეცემათ.

ფული შეტანილ უნდა იქნეს თფილისის ხაზინაში № 139185 ანგარიშით და კვიტანცია დაუყოვნებლივ წარედგინოს სამინისტროს მუშათა მაღაზიას.

შრომის სამინისტრო. (ნ. 2—1)

განცხადება

ყველა კერძო, საზოგადო და სახელმწიფო საწარმოო დარგების და დაწესებულებათა [illegible], რომელთა მუშა-მოსამსახურენი სარგებლობენ მომარაგების სახელმწიფო ფონდით მუშათა მაღაზიიდან,—მოვალენი არიან მიმდინარე წლის 25 მაისამდე წარმოადგინონ მუშათა მაღაზიაში მუშა მოსამსახურეთა ახალი სიები, რომლების ფორმა გამოქვეყნებულია შრომის სამინისტროს მიერ.

სიები უნდა იყოს შედგენილი მუშათა მაღაზიის ბლანკებზე. ბლანკის ფასი ღირს 3 მანეთი და შეიძლება მიიღოთ შრომის სამინისტროში ყოველ დღე 1—3 საათამდე.

[illegible] ცნობების წარმოუდგენლობა სახელმწიფო ფონდიდან პურის და სხვა სანოვაგის მიღების უფლებას დაუკარგავთ.

(ნ. 4—4) შრომის სამინისტროს მუშათა მაღაზია.

„ეშმაკის მათრახი"

№ 27

გამოვა დღეს. ნომერი შედგენილია საგანგებოთ დამოუკიდებლობის აღსანიშნავად. შინაარსი: მოგონება—თაგუნასი, ღია წერილი სოლომონ ზურგიელიძეს—ეშმაკისა, ლექსები შექანჯალებულის, კარიკატურები: ორი წლიწადი, საიუბილეო საჩუქარი, დაბრუნებული სამამადიანო საქართველო, მოაზროვნე ადერბეიჯანი, სომხეთის მანდატი, დაბრუნებული და სხვ.

ს. ს. დ. მ. პ. თფილისის სამაზრო კომიტეტი

იწვევს კვირას, 30 მაისისათვის მაზრის ორგანიზაციათა

კონფერენციას

ქ. თფილისში.

დღის წესრიგი: 1) მოხსენებები მომენტზე და 2) პრეზიდიუმისა, 3) პარტიული ყრილობის დღიურ წესრიგის განხილვა, 4) დელეგატების არჩევნები პარტიულ ყრილობისათვის, 5) მიმდინარე კითხვა.

კონფერენცია გაიხსნება დილის 10 საათზე, თფილისი სამაზრო ერობის შენობაში.

(3—1) სამაზრო კომიტეტის პრეზიდიუმი.

მოსკოვის სახალხო ბანკი

თფილისის განყოფილება.

მიღებულია ავსტრიის ფირმის ცელები 70 და 60 ს. ტ. შვედური ცულები და ნამგლები № 0, № 1 და № 2. საქონელი აწყვია საკუთარ საწყობებში თფილისში და ბათუმში. ნიმუშების ნახვა შეიძლება დილის 10—2 საათ. ყოველ დღე სახალხო ბანკში (ლორის-მელიქოვის ქ., № 9) და საქართ. კოოპერატივთა კავშირში (გლდანის ქ., № 15) საქონელი იყიდება კოოპერატიულ და საზოგადოებრივ ორგანიზაციებზე.

(ნ. 3—3)

შრომის სამინისტროს განცხადება

შრომის სამინისტრო აცხადებს სახელმწიფო და საზოგადო საწარმოვო დაწესებულებების გამგე მმართველობის, კერძო საწარმოვო დაწესებულებების მეპატრონეთა და აგრეთვე შრომის დამქირავებელთა საყურადღებოთ, რომ სამინისტრომ შემოიღო მუშებთა და დამქირავებელთა შორის ანგარიშის გასასწორებელი ახალი წიგნი, რომლებიც უნდა დაურიგდეს ყველა მუშებს და მოსამსახურეებს, ძველი საანგარიშო წიგნის მაგიერ, მიმდინარე წლის 1-ლ ივნისამდე.

ამ ვადის შემდეგ გაუქმებულია ძველი საანგარიშო წიგნები და ის დამქირავებლები, რომლებიც თავიანთ მუშებს და მოსამსახურეებს არ დაურიგებენ ამ ხნის განმავლობაში ახალ საანგარიშო წიგნებს,— პასუხის გებაში იქნებიან მიცემულნი სარეწავი შრომის შესახებ დებულების 212 მუხლის ძალით.

საანგარიშო წიგნი ღირს 10 მანეთი და შეიძლება მიღება შრომის კომისრებთან და შრომის სამინისტროს რწმუნებულებთან თფილისში, ქუთაისში, ფოთში, სოხუმში, ჭიათურაში, ტყიბულში, გორში, ბორჯომში, თელავში, სიღნაღში და გაგრაში.

(ნ. 5—4) შრომის სამინისტრო.

ჩვენ მზად ვართ

როდესაც ბაქოში გადატრიალება მოხდა, ჩვენ ვიცოდით, რომ ამიერ-კავკასიაში იწყებოდა ახალი ხანა, გაკომუნისტებული ბაქოს მთავრობა იერიშებს მიიტანდა მის მეზობელ რესპუბლიკებზე. საქართველოს მთავრობამ ანგარიში გაუწია სინამდვილეს და თავისი მზადყოფნის მობილიზაცია მოახდინა. ჩვენი მოლოდინი გამართლდა. [illegible] წოდებულმა ადერბეიჯანის ახლად გაწითლებულმა ლაშქარმა გადმოლახა ჩვენი საზღვრები, მაგრამ საქართველოს დემოკრატიულ შეიარაღებულ ჯარების მიერ უკუგდებულ იქნა. რომ უზრუნველეყო ჩვენი საზღვრები, ჩვენმა ჯარმა დაიჭირა გამაგრებული პოზიციები და შეჩერდა. ამით აცნობა მთელ ქვეყანას და ადერბეიჯანის დემოკრატიას, რამდენადაც შეიძლება მის არსებობაზედ ლაპარაკი, რომ საქართველო არ აწარმოებს დამპყრობით ომს, არამედ ის იცავს თავის საზღვრებს.

დღევანდელ ადერბეიჯანის ხელმძღვანელი წრეები, სადაც შედიან ყოფილი დენიკინელები გენერალ ბელიაევის მეთაურობით, პანისლამისტები ხალილ ფაშის ხელმძღვანელობით, რეაქციონური პარტია „იტტიხადის" წევრები და ახლად გასოციალისტებული [illegible], [illegible], რომ მათ გამოაღწევენ [illegible] მიერ ორი წლის წინედ ნაჩვენები ხერხი ჩვენი დემოკრატიის წინაშე. მაშინ [illegible] მოითხოვა ჩვენი ჯარების უკან დახევა და ამასთან ზავს შეგვპირდა. ჩვენ მას დავუჯერეთ, ჯარი უკან დავწიეთ და ზავი კი ვერ მივიღეთ. ამავე ხერხს მიმართავს ადერბეიჯანის ეგრედ წოდებული კომუნისტები. მას სურს, რომ ჩვენ ჯარები თფილისისკენ დავსწიოთ და შემდეგ გვპირდება ზავის [illegible]. მაგრამ ჩვენი [illegible] და დემოკრატიული [illegible] გამოცდილმა [illegible] შეცდომაში შეყვანილი, [illegible] შეცდომას ვერ ჩაიდენს ჩვენი დემოკრატიის წინაშე. როგორც [illegible] თათრების კომუნისტებს ჩვენი [illegible] მოუნდომებიათ. ჩვენ საჯაროთ ვამბობთ, რომ არ ვეძიებთ არც ბაქოს და არც განჯას. ეს მათაც [illegible]. მაგრამ პანისლამისტებს, ყოფილ დენიკინელებს და [illegible] კომუნისტებს სწყურიათ ჩვენი მუშების და გლეხების სისხლი, მათ მოუნდომებიათ ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის დასამარება. ამ დღეს ისინი ვერ მოესწრებიან.

ბატონო ადერბეიჯანის [illegible], გსურთ სამარტო ზავი? [illegible]. [illegible] ხართ? ჩვენ მზად ვართ. მაგრამ იცოდეთ, რომ [illegible] სისხლის [illegible] პასუხს აგებთ.

„წითელ" ადერბეიჯანში

(ბაქოდან ჩამოსულთა ნაამბობი).

I

22 მაისს საღამოს 8 საათზე თფილისში ჩამოვიდნენ ჩვენი რკ. გზის მოსამსახურენი, რომლებიც იყვნენ დატოვებული ბაქოში მომხდარ გადატრიალების დროს. ისინი გადმოგვცემენ: ჩვენ ვიყავით 29 აპრილიდან დატოვებული ბაქოში 120 კაცამდე: მემანქანენი, მისი თანაშემწენი და კონდუქტორები. ბაქოში რუსეთიდან შემოსვლისთანავე ბოლშევიკებმა პირველად დაიჭირეს სადგურები. [illegible] მოგზაურნი და შემდეგ დაიწყეს საქონლის გამოზიდვა მაღაზიებიდან. [illegible] ხელმძღვანელობდა იგი ორჯონიკიძე, რომელიც მიტინგებზე და მოწოდებების მეშვეობით მოუწოდებდა ადერბეიჯანის მცხოვრებთ, რათა სასტიკი ბრძოლა გაეწარმოებინათ საქართველოს კონტრ-რევოლუციონური მთავრობის წინააღმდეგ და საქართველოში საბჭოთა წესწყობილების დასამყარებლად. შემდეგ იწყეს ცისტერნებით გაზიდვა მაზუთის რუსეთში. ორთქლმავლებიც თან გააყოლეს. ამან გამოიწვია, ადერბეიჯანის გზისათვის საშინელი მაზუთის კრიზისი. ბაქოში დატოვებული მაზუთი [illegible] რიგის გზაზე [illegible]. [illegible] რუსეთში [illegible]. სანოვაგისა და სხვა საქონლის მოგროვება იწყება მთელი წითელი ჯარისათვის. განაცხადეს მობილიზაცია [illegible] მცხოვრებლებისა. გასცეს ბრძანება, რომ 10 პროცენტი მობილიზაციით [illegible] თათრებისა [illegible] პოლონეთის ფრონტზე. [illegible] საქართველოს [illegible], საბჭოთა რუსეთის [illegible] გზაზე რუსეთში [illegible], ჩვენ ვერაფერი [illegible]. [illegible] საბჭოთა რუსეთის [illegible] ჯარები ძლიერ [illegible] თათრებს. რუსეთიდან არაფერი მოუტანიათ. ადერბეიჯანში გავრცელდა [illegible]. ტიფი და [illegible] მუსრს ავლებს მცხოვრებლებს და [illegible] ჯარის კაცებს. არ აქვთ [illegible] და არც წამალი. ფრონტიდან მოყვანილი დაჭრილები განჯაში [illegible]. ჩვენ არავინ [illegible] არ გვაქვეყნდა. [illegible] განწყობილება არის [illegible] ადერბეიჯანის რკ. გზაზე მოსამსახურე რუსები. [illegible] თათრებმა [illegible], რომ ისინი [illegible]. ისინი ერთმანეთში ამბობენ: ჩვენ ვაგონებს [illegible] ადერბეიჯანი იქნებოდა და აქ კი [illegible] რუსეთის საბჭო. თუ რამე აბადიათ ადერბეიჯანელებს, [illegible] რუსეთის საბჭოს ჯარებს და [illegible] რუსეთში გზავნიან. ერთი სიტყვით, როგორც მტაცებლები, [illegible] რუსეთისაკენ მიეზიდებიან. საქართველოსთან ბრძოლაში დიდი დამარცხება იგემეს. საბჭოს [illegible] ჯარები, აშკარათ ამბობენ: საქართველოს ჯარებიდან ჩვენ დამარცხების [illegible] და [illegible] უკან [illegible] რუსეთში. თათრების [illegible]: [illegible] ჯერ ჩვენთვის არის [illegible] და [illegible] რუსეთში [illegible], მაშინ [illegible]. თათრების [illegible] არ მოსწონს. არის [illegible] საბჭოთა რუსეთი. ჩვენ [illegible] გაზეთები, მაგრამ არ [illegible].

2.

ბაქოს ჯარში ჩხუბი, გინება, [illegible] მოვლენაა. ლამე კი არა, დღისით [illegible] გარეთ გამოსვლა. [illegible] ქალებისათვის.

ჯარი ხან აქეთ მიდის, ხან იქით [illegible] და [illegible] ბრუნდება. [illegible] - [illegible] ჩანან, [illegible] დამშეულებია, [illegible]—[illegible] საქმეები არის.

მაინც არავინ გვხედავს გზაში, [illegible] არ [illegible].

უკანასკნელ შეტაკებაში საქართველოსთან ბოლშევიკებს ზარალი დიდი მიუღიათ. ბევრი წითელი [illegible] რუსი [illegible], რას ეძახით ქართველებს, ჩვენ ხომ არ ვებრძვით, თავი [illegible], მაგრამ შიგა და შიგ ჩვენი „მამულიშვილები" [illegible] სარჩოს, [illegible] პირდებიან. ჩვენი ორთქლმავლები რომ არ [illegible] იქ, (14 [illegible]) მათ არც კი ქონდათ საშუალება [illegible] მიმოსვლა [illegible].

როცა განჯის გუბერნატორი [illegible] და მიუვიდათ [illegible], კან დამ [illegible] თათრების ამბოხება კომუნისტების წინააღმდეგ.

თათრების ჯარი გაქცა. [illegible]. ქართველმა [illegible] სამსახურზე [illegible] და ისინი ყველა [illegible].

3.

რუსმა მეზობელმა [illegible]: ბაქოს ჯარში [illegible] და [illegible] არის. არა [illegible]: [illegible], [illegible] ჯარისკაცები [illegible] ჯარის [illegible].

სანოვაგე ჯარს არავითარი არ [illegible]. ჯარისკაცები [illegible] სახლებში და [illegible]. კომუნისტები [illegible] და [illegible], [illegible].

თათრებში დიდი [illegible].

4.

ჩვენ [illegible] მატარებლით ჩამოგვიყვანეს, [illegible] [illegible] და [illegible] ნაგზებით [illegible]: ბაქოში [illegible], [illegible] მანეთი, მაგრამ [illegible] და შიმშილს [illegible]. [illegible] ამხანაგი [illegible] გერმანელების [illegible] და ამის გამო 2—3 კაცი [illegible] საქართველოს წარმომადგენლობა ჩაიბარა.

ბაქოში ჩამოსული სულ [illegible] 7—8 ათასი ჯარი. რუსის ჯარისკაცების სიტყვით, ისინი [illegible] ბაქომდე ფეხით ჩამოსულან, [illegible] და [illegible], [illegible] სულ [illegible]. [illegible] ჩვენ [illegible]. [illegible] ბაქოში ჩამოსვლისთანავე ბოლშევიკებმა [illegible] ჯარისათვის [illegible].

ბოლშევიკებს ბაქოში არაფერი [illegible]: არც პური და არც სხვა. [illegible]. [illegible] პური [illegible] 12 მან. მაგრამ [illegible] ბოლშევიკები, ეს ფასი 30 მანეთამდე [illegible] შემდეგ პურს [illegible] 6 მან. [illegible] პური [illegible]. [illegible] დამის 1 საათ. [illegible] ბოლშევიკებმა [illegible] ყველა კერძო [illegible], [illegible] საქონელი. [illegible] ბაქოში [illegible], რუსეთიდან არაფერი [illegible], [illegible] ქალაქში [illegible], [illegible] რევოლუციისა.

ბოლშევიკები რომ ჩამოვიდნენ [illegible] მთავრობის [illegible] წევრი [illegible] მატარებლებში, [illegible], მაგრამ ბოლშევიკებმა ყველანი [illegible] და [illegible], [illegible] ბოლშევიკებს ხელში 98 მილიონი მანეთი [illegible] და ოქროთი. [illegible] მთავრობის წევრნი 2—3 დღის შემდეგ [illegible].

ბაქოში და [illegible] ხელში. [illegible]

დღეს

ფრანგული ცნობით საბჭოთა რუსეთის დელეგაციას ლონდონში მომავალ კვირას მოელიან.

ბოლშევიკების ცნობით საბჭოთა ჯარმა ენზელი დაიკავა. ამის გამო სპარსეთის მთავრობა პროტესტს უცხადებს რუსეთის საბჭოთა მთავრობას.

ეროვნული ყრილობის გადაწყვეტილებით გერმანიის ზოგიერთ ოლქებში საალყო წესები იქნება შემოღებული,

საფრანგეთმა აღიარა ლიტვის დამოუკიდებლობა.

მუსტაფა ქემალ ფაშამ აუწყა საზავო კონფერენციას, რომ სტამბოლის შეთანხმებას ის არ აასრულებს...

გენერალური შტაბის სამხედრო ცნობა
24 მაისი.

22 და 23 მაისის განმავლობაში ყველა მიმართულებებზე სიწყნარე იყო.

ნახსენიც კი არ არის ამომრჩეველთა გამგეობისა, საბჭოებისა.

დამოკიდებულება ჩამოსულ ბოლშევიკებსა და ადგილობრივ თათრებს შორის კეთილ განწყობილი არ არის. რუსები თათრებს ცუდი თვალით უყურებენ.

სომხების დამოკიდებულება ბოლშევიკებისადმი თავდაჭერილია და უცდიან მდგომარეობის გამორკვევას, მათ უმთავრესად აფიქრებს ბოლშევიკების და თათრების დაახლოვება.

ბოლშევიკების ჯარი მოქანცულია. როგორც სამხედრო ძალა, იგი არ არის დიდი ღირსების. ჯარის კაცები [illegible] ან თავისი ცოლშვილით და ბარგიბარხანით: ჯარი ნატრულობს სახლში დაბრუნებას.

გენერლების და სამხედრო ნაწილების უფროსთა შორის უფრო ძლიერია, ვიდრე უწინ. მძიმე არტილერია ბოლშევიკების ჯარს არ მოეპოვება, მას აქვს მხოლოდ სამთო ზარბაზნები. საერთოდ შთაბეჭდილება ისეთია, რომ ბოლშევიკების ჯარის კაცები იქ დიდ ხანს არ გაჩერდებიან. ამას ზედ ერთვის ჯარისკაცებში გაუგებრობა აზერბეიჯანში ჩამოსვლისა. ისინი ცუდი თვალით უყურებენ თათრებს და ამბობენ, აქ რა გვინდა თათრების დასაცავად, ან რისთვისა ვერთოთ ჯარი შორეულ მოტყუებით. ბოლშევიკების ჩამოსვლის პირველ თუ მეორე დღეს ბაქოში გამართეს მიტინგი, სადაც კავკასიის საგანგებო კომისარი ორჯონიკიძე და ბოლშევიკი კახიანი ამბობდნენ: საქართველოში ჩვენი მოძმე გლეხები და მუშები უნდა განვანთავისუფლოთ ბურჟუაზიულ, მენშევიკურ მთავრობისაგან, შემდეგ უნდა გადავიდეთ ოსმალეთში, სადაც ასევე უნდა განვანთავისუფლოთ ჩვენი მოძმენი და საბჭოთა მთავრობა უნდა დავამყაროთო.

პირველად ბოლშევიკებს ეგონათ სწრაფად, რომ ერთი კვირის შემდეგ თბილისში იქნებოდნენ და ამისთვის ემზადებოდნენ კიდევაც. იქ მოყოლილ ჩვენს რკინისგზელებს მოუწოდებდნენ დარჩენილიყვნენ, შეურთდებოდნენ მათ და უპირობდნენ: ამ დღეებში თბილისში ჩავალთ და თქვენც წაგიყვანთო. ჯარიც პირველ დღეებში დარწმუნებული იყო გულუბრყვილოთ, რომ რამდენიმე დღის შემდეგ მართლაც თბილისში იქნებოდნენ.

მაგრამ ხელ მალე ჯერ საქართველოს ჯარის მედგარმა წინააღმდეგობამ და შემდეგ ფრონტიდან 300 მეტ დატყვევებულთა ჩამოყვანამ მათ სახსენი შეუცვალა შეხედულება საქართველოზე. რაც შეეხება თათრებს, მათში სრულიად არ არის პოპულარული ეს ომი.

პარასკევს, 21 მაისს, ფრონტიდან ელისავეტპოლში 6 ეშელონი ჯარი დააბრუნეს.

ქართველების და საქართველოს წინააღმდეგ ცუდი განწყობილების შექმნას ცდილობენ და განსაკუთრებით გზეტრობენ აქედან წასული რუსები, რომლებიც ხაზინდარ პროვოკაციას ეწევიან და ყალბ ცნობებს ავრცელებენ. ეს [illegible] პირდაპირ ეუბნებიან მათ, ქართველები კონტრ-რევოლუციონერები არიან, საქართველოში შიმშილით გხოცავდნენ, გაძარცვავდნენ და გამოგყარესო. ამაზე რუსის ჯარისკაცები გულახდილად ეუბნებიან მათ: რომელ რესპუბლიკაშიაც სცხოვრობდით იქაური წესებს უნდა შეჩვეოდით, და თუ არ მოგწონდათ, მაშინ გაანებებდით თავს და წამოსულიყავით. მაგრამ ეს პროვოკატორები არა სცხრებიან და ჯარს ეუბნებიან, საქართველო და სომხეთი გაერთიანდა ჩვენ გასაჟლეტათ. ამას გარდა ხმებს ავრცელებენ, ვითომ [illegible] თავი მოიკლა, ჟორდანია დაჭერილია, რუსეთის საბჭოთა ჯარი კავკასიიდან საქართველოში შეიჭრა და მცხეთას მიადგა, თვით საქართველოში და თბილისში ხალხი მთავრობის წინააღმდეგ აჯანყდა. აზერბეიჯანში „წითელ" დაწესებულებებში დაბალი დაწესებულებები არ ემორჩილებიან მაღალ დაწესებულებებს. ამ მაგალ. ბაქოს რევკომმა და ჯარების უფროსმა ვენ. ლევანდოვსკიმ ჩვენს 120 რკინისგზელს „პროპუსკები" მისცეს საქართველოში წამოსასვლელად, მაგრამ ადგილობრივი რკინის გზის კომიტეტი მათ არ სცნობდა, სანამ თვით ორჯონიკიძემ არ მისცა ნიშნები.

ბოლშევიკებმა გამოაცხადეს მობილიზაცია, რომლის ძალითაც მცხოვრებთა 10 პროცენტი უნდა გაეწვიათ თ თარემიდან. როგორც ამბობენ, ეს ჯარი პოლონეთის ფრონტზე უნდა გადაესროლონ. მაგრამ მცხოვრებნი ძალიან ნაკლებად ცხადდებიან მობილიზაციაზე.

საერთოდ ბოლშევიკების ჩამოსვლას არავინ გაუხარებია აზერბეიჯანში და ყველა თავდაჭერილია და რაღაცას მოელის. ბოლშევიკების ჩამოსვლა ბაქოში თუ მოეწონა ვისმე, ეს არიან იქ მყოფი რუსები, რომლებიც მომხდარ ფაქტს უყურებენ, როგორც რუსეთის დაბრუნებას.

—

(განცხადებიდან)

ჩვენ ხელთ არის ბაქოს „კომუნისტის" მე 5 ნომერი (7 აპრილი—1920 წ.).

მეთაურში, რომელსაც სათაურად აქვს „რევოლუციის განმტკიცება", სწერენ, აპრილის რევოლუცია თანდათან ღრმავდება. ძველი მთავრობის აგენტების დაპატიმრება, დიპლომატების კონტრ-რევოლუციონერებისა და ძველი პოლიციის ჟანდარმერიისა და მათ ადგილზე სახალხო გვარდიის ჩაყენება ნათლად მოწმობს იმას, რომ აზერბეიჯანში დღეს მუშათა და გლეხთა მთავრობა არის არსებითად პროლეტარული რევოლუცია 27 აპრილს კი არ დაწყებულა, არამედ—რამდენიმე დღის შემდეგ. 5 მაისს გამოიცა დეკრეტი ყველა მიწების მშრომელთა ხელში გადაცემის შესახებ. ამით ბოლო მოეღო ბეგების და ხანების ბატონობას; ამით სამუდამოდ დამარცხდა ფეოდალური კონტრ-რევოლუცია. რიგი ახლა ბურჟუაზიაზე, კონტრ-რევოლუციაზე მიდგა.

წვრილში სათაურით—„კონტრ-რევოლუცია ამუშავდა"—სწერენ: „პროლეტარული მთავრობა გართულია თავის ძალების ორგანიზაციულად მოწყობაში, ამით სარგებლობს ბურჟუაზია. უკანასკნელი ცდილობს ახალი პროვოკაცია მოახდინოს. საქონლის ფასებმა უცებ იმატა. ყველა პირველ საჭიროების საგნებზე ფასები ერთი ორად გადიდდა. პური და ფქვილი ბაზარზე არ იშოვება, ხორცი ფასობს გირვანქა 120 მან. ქიშმიში ორჯერ მეტად და სხვა. მსხვილმა სპეკულიანტებმა საქონელი გადამალეს, ბაზარზე გამოაქვთ მცირე რიცხვი სურსათი, რაც საერთოდ მოთხოვნილების ერთი მეათედს და ერთ მეოცედს ძლივს აკმაყოფილებს.

წვრილი მოვაჭრეები ერთი დღის განმავლობაში საქონელზე ფასებს 50 პროცენტით უმატებენ. მათი მიზანი ცხადია: დასცენ საბჭოთა მთავრობის პრესტიჟი და უკანასკნელად გაისქელონ ჯიბეები. ბურჟუაზიის თამაში ადვილი გასაგებია. მას სურს, როგორც ყოველთვის, მოიხმაროს რაღაცა შესარყევლად პროლეტარულ სახელმწიფოს ასეთი სიძნელე და ამისათვის ჩვენ ვებრძვით მათ. საბჭოთა ძალა-უფლებას თქვენ ვერ დაამხობთ, რადგანაც ეს არის ძალა-უფლება მთელი ხალხის, ეს არის ძალა უფლება დაკოდებული ხალხის.

—

„დაშნაკცუთიუნ-ის" სათაურით შემდეგს სწერენ: ჩვენ მივიღეთ ძველ დღეებში გამომრიცხველი ცნობილ სოციალისტ მეუნარისტების ეგრედ წოდებულ „რევოლუციონერ" პარტია დაშნაკცუთიუნისაგან სიმპატიური განცხადება, რომლითაც გვაუწყებენ, რომ ყოველთვის სიმპატიურად ეპყრობოდნენ კომუნისტებს და ამ განცხადებაში დაშნაკები ყველაფერს უარყოფენ, რომ ეცნობით და ეცნობით საბჭოთა ძალა უფლებას. ცხად, 1918 წელს ისინი ბაქოში „ცნობილ" საბჭოთა მთავრობას მხარს აძლევდნენ, სანამ არ გადასცეს პირველ შემთხვევაში ინგლისელებს და ბიჩერახოვებს. ისინი არიან დამნაშავენი, რომ კომუნისტურ წრეებს მოაკლდათ ისეთი საუკეთესო მებრძოლები, როგორც იყვნენ—ს. შაუმიანი, ალ. ჯაფარიძე, აზიზბეკოვი, ფიოლეტოვი—ყველა 26 საუკეთესო ამხანაგები, რომლებიც მხეცურად შეეწირნენ ბაქოს კომუნას. ჩვენ მოწყვეტილი ვიყავით ცენტრალურ საბჭოთა მთავრობას და არ გვქონდა რა განკარგულებაში სამხედრო ძალა, იძულებული ვიყავით დავყურებოდით დაშნაკების შეიარაღებულ ძალებს (ეს იყო ჩვენი შეცდომა, რის აღიარებაც ჩვენ არ გვეშინიან). მათ გააკეთეს ყველაფერი, რომ ხელში ჩაეგდოთ საბჭოთა მთავრობისათვის, ისინი თავიანთ შოვინისტურ, კაცის ჭამია პოლიტიკით ცდილობდნენ მუსულმანთა მასის თვალში სახელი გაეტეხნათ საბჭოთა მთავრობისათვის. ჩვენ ახლა, მწარე გაკვეთილების შემდეგ, არავითარ პროვოკაციულ აწვდენას არ ვაპატიებთ. თქვენ ადგილი არ გაქვთ ჩვენ რევოლუციონერ წრეში, თქვენი ადგილი არის მუსავატელებთან და პირველ ხარისხოვან სახელმწიფოებთან დამნაშავეები მოღვაწეებთან საერთო პლატფორმის შემუშავებას. გამჭრიახი მუშათა კლასისა, მოვუწოდებთ საერთო პლატფორმის გამონახვას; ჩვენის მხრივ დიდი ისტორიული შეცდომა იქნებოდა, რომ დაშნაკები უკეთეს პირობებში ჩაგვეყენებინა, ვიდრე არიან ხსენებულნი ყაჩაღებიც, რომლებიც ციხეებში არიან მოთავსებულნი".

—

ბაქოში მოთავსებული სოფლის სასურსათო საქმეების სახალხო კომისარიატის წარმომადგენლებთან. მისი განცხადებით ბაქოში პურის კრიზისი გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ პური ჯარისთვის ცხვება; უკანასკნელ დღეებში ბაქოში მეპურეების დუქნებთან დიდი რიგები გაჩნდა. სპეკულიანტებმა გადამალეს პურიც და სხ.

კონფლიქტები. ხუთი დღის განმავლობაში შეერთებულ კავშირების საბჭოში დიდძალი განცხადებები შევიდა, კონფლიქტების შესახებ. 90 პროცენტი ამ განცხადებებისა შეეხება იმას, რომ წვრილი მწარმოებლები და მოვაჭრეები არა სთანხმდებიან 80 პროცენტიანი მომატება გადაუხადონ მუშა-მოსამსახურეებს. 8 პროცენტი კონფლიქტებისა შეეხება ღირსების წარმოების ლიკვიდაციას. ისარგებლეს რა ბინების დაკეტვით, ზოგიერთი მწარმოებლები უარს აცხადებენ მისცენ მუშებს სამუშაო ქირა.

— —

კომუნისტების კავკასიის კომიტეტმა მოწოდებით მიმართა კავკასიის კომუნისტების ადგილობრივთა ორგანიზაციებს, სადაც ნათქვამია, რომ აზერბეიჯანში მუსავატისტულ მემამულეთა ბატონობა დაემხო, დღეს—ხვალ დამყარდება საბჭოთა ძალა-უფლება საქართველოში და სომხეთშიაც. აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის ახალგაზრდა წარმომადგენელთა ყრილობაზე ამორჩეული იქნა კომიტეტი (1919 წ. ენკენისთვეში). ეს კომიტეტი ახლა ყრილობის მოწვევამდე აცხადებს თავის თავს კავკასიის კომუნისტურ კომიტეტად. ამ კომიტეტში შედიან: დაღესტნის, აზერბეიჯანის, საქართველოს და სომხეთის წარმომადგენლები.

— —

სამხედრო სალამი. 1920 წლის 4 მაისის ბრძანების თანახმად (№ 16) აზერბეიჯანის საბჭოთა რესპუბლიკის წითელ არმიაში სალამის მიცემა (отдание чести) ა უქმდება.

მოქალაქენო, ხომ დარწმუნდით, რომ თავხედი მტერი ჩვენ სამშობლოთ გაწვდილ ხელს ბორკილის დადებას ეპირება.

ჩვენი დაჭრილები
2.
ვარდი.

დღეს იმათ საჩუქრად თითო ვარდი მიიღეს. საოცარია, არც ერთ საჩუქარს არ გამოუწვევია ასეთი ერთსულოვანი გრძნობა უშუალო სიხარულისა.

ვარდი!—თითქოს სრულიად გამოუსადეგარი რამ არის—ეს რაა წაიღებენ მისი სილამაზე და ნაზი სურნელება! მაგრამ ყოველი დაჭრილის თვალებში სათითაოდ ნაზი ნაპერწკალი ინთება მის დანახვაზე; ყოველი მათგანს ხელი ხალისით ეტანებოდა მის ეკლიან ღეროს—ყოველ ოთახში უნებური სიხარული შექმნილა მას. ვარდს ეხებოდნენ როგორც პატარა ბავშვის ულამაზეს ალერსს და ყოველ მათგანში იღვიძებდა საპასუხო ალერსი: გრძნობათ წრისხელდ შეურიელი წარბები იშლებოდა; ტანჯვით გამოწვეული ნაოჭები შრებოდა.

— როდის იქნება რომ ასეთი ვარდი ხელში დავიჭიროთ და გავიარ გამოვიაროთ! ამბობს ერთი და ალიცებული ოცნებით არის სავსე მისი თვალები.

— ამისთანა ვარდების ქვეყანა ჩვენი სამშობლო და განა ღირსი არ არის, რომ დავიცვათ? ეუბნება მეორე თავის მეზობელს.

ზოგი ჩუმ-ჩუმად შესცქერის ვარდს. მაგრამ ამ დუმილში იგრძნობა ყოველი გრძნობაც არის. ვარდს ეფერება ოდნავ უკმაყოფილებით. რატომ? მას წითელი ვარდი ერგო და ჩაის ვარდი შეხვდა.

— როგორ არის თქვენი ფეხი?

ფეხის ძვალი დამსხვრეულია. მალომეტი ასი დღეა გაუნძრევლად წევს; გუშინ შეჰკრულ მუხლს [illegible] მძიმე გირი ჰქონია.

— [illegible] და მისი [illegible] ამ დროს ისეთ სიტყვებს [illegible], რომ მისი სიტყვების მნიშვნელობაში ეჭვი არ გვეპარებათ.

— როცა გავიგებ ხოლმე, რომ ჩვენები წინ მიიწევენ, გული კარგად გამიხდება.. ხანდახან ცოტათი მაწუხებს ტკივილი...

— ხომ არაფერი გაკლიათ?

— ყველაფერით სავსენი ვართ, ყველაფერი მოლოდინით გვაქვს.

მჯერა, რომ გულწრფელად ამბობ. მაგრამ ისიც ვიცი, რომ შენი კეთილშობილი გულის ხმაა და ის გათქმევინებს ამ სიტყვებს, თორემ საჭიროება და კმაყოფილება სხვაგან სად არის, რომ აქ იყოს!

ქ.

ვისაც არ შეუსრულებია თავისი მოვალეობა—ნუ დააყოვნებთ.

დეპეშები
(საქართველოს დეპეშათა სააგენტო)
24 მაისი.

[illegible]

სამხედრო შტაბის ცნობები.

მოსკოვი. 23 მაისი. 22 მაისს ბორისოვის რაიონში ჩვენმა ჯარებმა ბორისოვის აღმოსავლეთით 8—10 ვერსზე სოფლების მთელი წყება დაიკავეს. იგუმენის მიმართულებით შეტევის განვითარების დროს ჩვენი ნაწილები გამოვიდნენ სოფლების ხაზზე იგუმენის ჩრდილო აღმოსავლეთით 20-სა და აღმოსავლეთით 15 ვერსზე, სადაც დაიკავეს დაბა ბოგუშევიჩი და ბოდრინო. ბოდრინოსთან ხელთ ვიგდეთ სამი ზარბაზანი. მოზირსკის რაიონში ჩვენმა ნაწილებმა დაიკავეს დაბა დუდიჩინი. ელნის მოზირის მიმართულებით ბრძოლა გრძელდება მდ. ბერეზინის ჩრდილოეთით. კიევის რაიონში სრიალა და ხშირი თოფთა მოქმედება. კანევისა და ტარაშჩის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა განაგრძეს შეტევა და კანევის დასავლეთით 25 ვერსზე მდებარე სოფლების ხაზი დაიკავეს. ზვენიგოროდკის რაიონში ჩვენი ჯარები ზვენიგოროდკის ჩრდილო-დასავლეთით 35 ვერსზე ბრძოლას აწარმოებენ. 18 მაისს ცოტა ხნის სროლის შემდეგ ჩვენმა მეზღვაურთა დესანტმა ქალ. გენიჩესკი დაიკავეს.

ვარშავის ცნობები.

პოლონეთის მთავარი შტაბის ცნობა.

20 მაისი. ზემო ბერეზინის ხეობაში მტერი ახალი ძალებით და დაუმარცხებით განაგრძობს ძლიერ იერიშებს. მიუხედავად ძლიერი ძალებისა, რომლებსაც მესამე დივიზიაზე იერიშები მოჰქონდა, დივიზიამ არა თუ არ დაკარგა თავისი პოზიცია, არამედ—გადავიდა კონტრ-შეტევაზე და მტერი ძლიერ დაამარცხა.

სოციალისტური ანკეტა რუსეთში*)
(საუბარი ამხ. აქსელროდთან).

პარიზში ჩავიდა რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებელი პ. ბ. აქსელროდი. პავლე აქსელროდმა პირველად აღძრა საკითხი იმის შესახებ, რათა მოეხდინათ რუსეთში სოციალისტური ანკეტა—რუსეთის სოციალიზმის დაკითხვა.

გადაჭრით ეწინააღმდეგებოდა რა იმას, რათა რუსეთის საშინაო საქმეებში ჩარეულიყვნენ ბურჟუაზიული და იმპერიალისტური სახელმწიფოები,—პავლე აქსელროდი, როგორც სოციალისტი და ინტერნაციონალისტი, დაჟინებით მოითხოვდა რუსეთის საქმეებში პროლეტარულ ინტერნაციონალის მორალურ ჩარევას.

უკანასკნელმა ამბებმა სავსებით ნათელჰყო იმ გზის სისწორე, რომელიც პირველად ჩვენმა მცხოვრებმა ამხანაგმა გვიჩვენა.

„საკითხმა რუსეთში სოციალისტური ანკეტის მოხდენის შესახებ,—სთქვა აქსელროდმა,—უპირველესი ადგილი უნდა დაიკავოს სახლგარეთ მყოფ რუს სოციალისტების—ანტი ბოლშევიკების მოქმედებაში. ჩვენ მიერ ბოლშევიზმის კრიტიკას წინ ეღობება უნდობლობა, რომლის დაძლევა ჩვენთვის მეტად ძნელია. ჩვენ არც გვინდა, რომ ჩვენს მშრალ სიტყვას ენდონ. ბერნშიაც და სტოკჰოლმშიც, პარიზშიაც და ლონდონშიც ჩვენ მუდამ მხოლოდ ერთსა ვთხოვდით დასავლეთ ევროპის სოციალისტებს: „წადით რუსეთში და თქვენის თვალებით ნახეთ ყველაფერი"!

როგორც არა ერთხელ გვითქვამს, რუსეთში სოციალისტური ანკეტის მოხდენას ერთნაირათ მოითხოვს, როგორც რუსეთის რევოლუციისა და პროლეტარიატის ინტერესები, ისე მთელი ქვეყნის მუშათა მოძრაობის ინტერესებიც. დასავლეთის სოციალისტებმა უნდა იცოდნენ არა მარტო რუსეთის ბედისთვის, არამედ მხოლოდ პროლეტარიატის პოლიტიკურათ და მორალურათ აღზრდისათვისაც,—იმ პროლეტარიატის, რომელიც დღეს კრიზისს განიცდის, რასაც, შესაძლებელია, დიდი მნიშვნელოვანი შედეგები მოჰყვეს.

„რა შეუძლია გააკეთოს დასავლეთის პროლეტარიატმა, რომ რუსეთს დაეხმაროს?".

— რუსეთის დემოკრატია და განსაკუთრებით მისი სოციალისტური დემოკრატია იმყოფება დასუსტებული მატერიალურ და მორალურ შიმშილის, ეკონომიური არევ-დარევისა და პოლიტიკური ჩაგვრის გავლენით, რომ მას საკუთარის ძალებით არ შეუძლია იბრძოლოს ფართო მასშტაბში დიქტატორულ რეჟიმის წინააღმდეგ. სწორეთ ამ სისუსტეს უდგას დასავლეთის დემოკრატია რეაქციონერ ინტერვენციის წინაშე. მე შესაძლებლობა არ მქონდა ამ საკითხის შესახებ მოველაპარაკებოდი ჩვენი პარტიის ცენტრალურ კომიტეტს; მაგრამ მე თავიდანვე გამოვედი ყოველგვარი კოალიციის და სამხედრო შეთქმულების წინააღმდეგ, რაშიაც მე გათვალისწინებული მქონდა დიდი საფრთხე დემოკრატიისათვის და სარგებლობა მხოლოდ რეაქციისათვის. ეს წინასწარმეტყველება სავსებით გამართლდა. რამდენადაც შეიძლება გაითვალისწინო, დღეს სამხედრო საფრთხე, გავლენა, ძლიერია, მაგრამ დემოკრატიას არ აქვს ძალღონე მოაწყოს თავისი პოლიტიკური ბრძოლა, პოლიტიკური მობილიზაცია ხალხის მასსებისა; დემოკრატია მოკლებულია ამ ბრძოლისათვის ყოველგვარ საშუალებებს, იმ საშუალებებსაც კი, რომლებიც მას ცარიზმის დროს ჰქონდა, როდესაც მას თავისი წარმომადგენლები ჰყავდა სახელმწიფო სათათბიროში, ჰქონდა ორგანიზაციები და სოციალისტური გაზეთები. ამასთანავე სწორედ ის მთავრობა, რომელიც თითქოს სოციალიზმის გულისთვის იღწვის, ახშობს, სპობს და ავიწროებს მუშათა დემოკრატიას და რუს სოციალისტებს. ამიტომ საქმეში უნდა ჩაერიოს მსოფლიო სოციალიზმი და მთელის თავისი ავტორიტეტით მოითხოვოს, რათა საბჭოთა მთავრობამ მისცეს მუშებს იგივე უფლებები მაინც, რომლითაც მუშები დასავლეთ ევროპის კაპიტალისტურ სახელმწიფოებში სარგებლობენ: ხმოსნობის, უფლება თავისუფლად და აშკარად გამოთქვან თავიანთი მოთხოვნილებები.

ევროპის პროლეტარიატმა პროტესტი განაცხადა, თუმცა, ჩემის აზრით, არა საკმაოდ მძლავრად, იმ თეთრი ტერორის წინააღმდეგ, რომელსაც უნგრეთში აქვს ადგილი. მაგრამ, აბა, რა რეალური ღირებულება ექნება ამ პროტესტებს, როდესაც კომუნიზმის ფირმის ქვეშ წარმოებული ასეთივე ტერორი და ჩაგვრა მოწონებულია რუსეთში? მე გავიგონე და წავიკითხე, თუ როგორის აღშფოთებით შეხვდნენ ფრანგი ამხანაგები „კომუნისტური მიმოხილვის" შესახებ ინცინდენტს. მაგრამ იგივე ამხანაგები, როგორც ჩანს, სრულიად ბუნებრივად თვლიან იმ მოვლენას, რომ საბჭოთა მთავრობამ გააუქმა ყოველგვარი მუშებიდანი ორგანოები, გარდა საკუთარ პარტიულ პრესისა.

როდესაც საქმე ეხება კაპიტალისტების ბიუროკრატ-მოქმედებაზე მიდგება,—პროლეტარიატს არა აქვს საშუალება მასზე პირდაპირი გავლენა მოახდინოს. მაგრამ სულ სხვა ვალდებულება აწევს საერთაშორისო პროლეტარიატს და საშუალებაც მოეპოვება მას გავლენისათვის მაშინ, როდესაც საქმე გვაქვს არა აშკარა რეაქციასთან, არამედ—მთავრობასთან, რომელიც აცხადებს, რომ თითქოს პროლეტარიატის სახელით განაგებს ქვეყანას.

ჩვენ არ მოვითხოვთ მუშათა ინტერნაციონალისაგან (როდესაც მე ინტერნაციონალზე ვლაპარაკობ, სახეში არა მაქვს რომელიმე განსაზღვრული ორგანიზაცია, არამედ საერთაშორისო პროლეტარიატი, როგორც ასეთი) ბოლშევიკების თავიანთ წრიდან გამორიცხვას*), არც ჯვაროსნულ ომს საბჭოთა რუსეთის წინააღმდეგ,—არამედ ჭეშმარიტ მორალურ ინტერვენციას, რომელიც სოციალისტურ სოლიდარობის პრინციპებზე იქნება დამყარებული. მაგრამ ეს მორალური ჩარევა მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როდესაც დასავლეთის სოციალისტები ადგილობრივათ და ყოველ მხრივ გაეცნობიან ვითარებას.

„თუ ბოლშევიკები უარს იტყვიან ასეთ ანკეტაზე?"—ასეთი უარი მეტად მორალურ გასამართლებას შეადგენს. იტყოდნენ რა უარს ისინი ნათელჰყოფდნენ მთელ ქვეყნის წინაშე, რომ ისინი,—ეს ინტერნაციონალისტები, რომლებმაც დანაშაულობათ აღიარეს სამშობლოს დაცვა, ეს ადამიანები უარს ამბობენ ინტერნაციონალურ პროლეტარიატის ჩარევაზედაც კი, თუ გინდ ეს ჩარევა მხოლოდ მასიური იყოს, უარს ამბობენ იმ პროლეტარიატის ჩარევაზე, რომლის სოლიდარობასაც ისინი ასე ხშირათ მიმართავდნენ.

„რუსეთში სოციალისტური გამოძიების მოხდენას მოითხოვს აგრეთვე საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ინტერესებიც".

საჭიროა, რათა სოციალისტურმა პროლეტარიატმა გაიმიჯნოს იმ რეჟიმისაგან, რომელიც ლაქუტი არის მხოლოდ რევოლუციისა და სოციალიზმის; საჭიროა, რათა მან მოიხსნას ყოველგვარი პასუხისმგებლობა ამ რეჟიმის გამო ისტორიის წინაშე; საჭიროა, რათა რუსეთის პროლეტარიატის თვალში იგი არ იყოს, როგორც მონაწილე ამ რეჟიმისა.

მნიშვნელობა იმას აქვს, რათა მსოფლიო პროლეტარიატმა შეიმეცნოს, გაიგოს, რათა ბოლო მოეღოს იმ ზნეობრივ ორპირობას, რაც საშუალებას იძლევა აქ გაიკიცხოს ის, რასაც იქ იწონებენ. საჭიროა რათა მსოფლიო პროლეტარიატი არ დარჩეს მოტყუებული, რათა იგი ბოლოს და ბოლოს აღსდგეს თავის ძმის—რუსეთის პროლეტარიატის მძლავრობის წინააღმდეგ. ბოლშევიკური ლეგენდა საბჭოთა რო დემაგოგიურ მიგრძნობს ინტერნაციონალურ პროლეტარიატს. იგი სახელს უტეხავს სოციალურ რევოლუციას, რუსეთის მუშათა კლასს.

ფართო და ნათელი გაცნობა ბოლშევიზმისა, რომლის მიღწევაც ადვილად შეიძლება, საშუალებას მისცემს მუშათა მოძრაობის სხვადასხვა წარმომადგენლებს გაიჯანსაღონ, გადაიხალისონ უკანასკნელი. ობიექტიური მიზეზებს გარდა, რომლებმაც ბოლშევიზმი წარმოშვა (მსოფლიო ომი, ეკონომიური არევ დარევა და სხვ.), უკანასკნელს აქვს აგრეთვე ფსიქოლოგიური საფუძველიც.

იმ უძლურებამ, რომელიც სოციალისტურ დემოკრატიამ გამოიჩინა ომის დროს, შექმნა მასში აუცილებელი წარმოდგენა, რომ თითქოს მას რომელიმე მესსია იხსნიდა. ეს ნიმუშია მეჯლისობა, რომელსაც რომის დაცემის დროს რომის ხალხები მისდევდნენ, რომლებიც ხსნას ჯვარზე გაკრულ მაცხოვრისაგან მოელოდნენ, ნუ თუ ჰგონიათ დასავლეთ ევროპის პროლეტარიატს, რომ მისი „სასწაულებრივი ხსნა" გამოწვეული იქნება რუსეთის პროლეტარიატისა და 200 მილიონ ადამიანთა წამებით.

სოციალიზმს არ შეშვენის, თავისი ხსნა მოტყუებებში ეძიოს. რუსეთის რევოლუციონურ მოძრაობის განვითარებაზე მოიპოვებოდნენ ისეთი რევოლუციონერები, რომლებიც მეფის სახელით ცდილობდნენ წვრილ ქალაქის უცოდინარ და გულუბრყვილო გლეხების თავიანთ მხარეზე გადაბირებას. პროლეტარიატი, რომელიც დღესაც ასეთ ზომებს ხმარობს, ვერ შეიძლებს განახორციელოს თავისი ისტორიული დანიშნულება:—ინთავისუფლებს რა თავის თავს,—განათავისუფლოს კაცობრიობაც.

მხოლოდ სოციალისტური გამოძიებას რუსეთში შეუძლია გაფანტოს ეს სახიფათო ილუზიები. იგი შეაძლებინებს პროლეტარიატს გამონახოს ნამდვილი საშუალებები თავის განთავისუფლებლათ, მოიკრიბოს ყველა ძალები ყოველ დღიური შეგნებულ და ორგანიზაციულად მოწყობილ ბრძოლისათვის, რათა ამ გზით უზრუნველყოს თავისი ეკონომიური და ზნეობრივი წარმატება.

როგორი უნდა იყოს საანკეტო კომისია?

რათა კომისიის მუშაობა ნაყოფიერი იქნეს,—საჭიროა რუსეთში გამოძიების მოსახდენათ მიმავალი კომისია ფლობდეს სრულ პასუხისმგებლობას, რომელიც მასზეა დაკისრებული; მას უნდა ჰქონდეს სრული გადაადგილების შესაძლებლობა, სრული იმდენათ მაინც, რომლითაც დრეიფუსის მოსამართლეებს ჰქონდათ, რომელთა შორის გენერალურ შტაბს იმაზე ნაკლები თავ-

---

*) ეს საუბარი ამხ. პავლე ბორისის ძე აქსელროდთან მოთავსებული იყო „La Republigue russe" ში. № 5 (1 მარტი 1920 წ.

ზედმეტად მიგვაჩნია ჩვენი მკითხველისათვის ლაპარაკი იმაზე, თუ რა როლი შეასრულა პ. აქსელროდმა რუსეთისა და მსოფლიო მუშათა მოძრაობის ისტორიაში.

საქართველოს დემოკრატია იცნობს პ. ბ. აქსელროდს თავის რევოლუციონერ ბრძოლის პირველ დღეებიდანვე. იგი აქსელროდს ერთ ერთ თავის მასწავლებლათ სცნობს. და ეხლაც, საქართველოს დემოკრატიის კმაყოფილებით შეუძლია აღნიშნოს, რომ მისი იდეები სავსებით ეთანხმებიან რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის დამაარსებლის იდეებს, რომელიც რუსეთის სოციალისტური აზროვნების საუკეთესო ტრადიციებს იცავს, როგორც ბოლშევიზმის, ისე მუშათა მოძრაობის მომავლისა და მისი მომავლის გზების დასახვის საკითხში. რედ.

*) პირადათ მე ვფიქრობ, რომ ის გაუცემლობა, რომელიც ბოლშევიკებმა ჩაიდინეს სოციალიზმის წინაშე და ის თი დანაშაულობანი რუსეთის რევოლუციის წინააღმდეგ მოითვლება, რათა ისინი განდევნილნი იქნენ საერთაშორისო პროლეტარიატის ოჯახიდან.

პ. აქსელროდი.

ყირიმის მანდატი.

ყირიმის დელეგატებმა ხალხთა ლიგის გენერალურ სეკრეტარიატს თხოვნით მიმართეს, რათა მანდატი ყირიმზე პოლონეთს გადაეცეს.

მუსტაფა ქემალ ფაშა.

როგორც გადმოგვცემენ, მუსტაფა ქემალმა სანრემოს კონფერენციას მიმართა ნოტით, სადაც აცხადებს, რომ მისი მთავრობა სავალდებულოდ არა სთვლის კონსტანტინეპოლის შეთანხმების აღსრულებას. კონსტანტინეპოლის მთავრობამ—თითქოს უნდა ვთქვათ მან,—ჩვენი ქვეყნის თვალში ყოველივე ავტორიტეტი დაჰკარგაო.

სპარსეთის პროტესტი.

სპარსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გვაუწყა, რომ 18 მაისს ბოლშევიკებმა ენზელს შეუტიეს. სპარსეთის მთავრობა პროტესტს აცხადებს ენზელის ოკუპაციისა და შეტევის გამო მაშინ, როდესაც დენიკინის ჯარი განიარაღებულია. ამასთან შეუტყობა, რომ სპარსეთი ხალხთა ლიგის აღმასრულებელ კომიტეტს ყურადღებას აქცევსო.

იტალიის ახალი სამინისტრო.

ნიტტიმ მესამე სამინისტროს შედგენა შესძლო. საერთო შეხედულება ისეთია, რომ მოკლე ხანში ეს მთავრობა დაიშლება.

ლიტვის დამოუკიდებლობა.

რიგიდან გელსინგფორსში მოსული ცნობის თანახმად, საფრანგეთის მთავრობამ ლიტვის დამოუკიდებლობა ცნო არა.

არეულობა ჰამბურგში.

ჰამბურგში არეულობა მოხდა.

ანტი-ბოლშევიკური ფრონტის სარდალი.

ვილნოდან მოსული დეპეშა იუწყება, უმაღლესი საბჭოს ბრძანებით გენერალი შეპტიცკი დაინიშნა ანტიბოლშევიკური ფრონტის სარდლად.

საალყო წესები გერმანიაში.

ბერლინიდან იუწყებიან: ფრონტულმა ყრილობამ გადასწყვიტა გერმანიის ტერიტორიის მრავალ ოლქში საალყო წესები გამოაცხადოს.

ოსმალეთი.

გაზეთ „ტაიმს“-ის კონსტანტინეპოლიდან დეპეშით აუწყებენ: ნაციონალისტების მოქმედების გაძლიერების გამო საფრანგეთის და ინგლისის ჯარი კონსტანტინეპოლს და გალიპოლიდან კილიკიაში გაიგზავნა. იგივე გაზეთი იუწყება, რომ ინგლისის ჯარმა დაიჭირა ოსმალეთის მეორე სანგარი ჩატალჯაში.

საბჭოთა რუსეთის დელეგაცია ლონდონში.

ლონდონში კომუნისტურ საბჭოთა რუსეთის დელეგაციას კრასინს 10 თანამშრომლით მომავალ კვირაში მოელიან.

დიდი ვეზირი პარიზში.

გაზ. „ტან“-ის ლონდონის კორესპონდენტის სიტყვით მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე დიდი ვეზირის პარიზში დაუყოვნებლივ გაგზავნა, რადგან დელეგაციასა და ოსმალეთის მთავრობის შორის დამოკიდებულება გამწვავებულია.

მუსტაფა, ლენინი და ტროცკი.

გადმოგვცემენ, რომ მუსტაფამ, ლენინმა და ტროცკიმ ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას, რომელიც ენვერ ფაშას მიერ მიღწეულ ხელშეკრულების დამტკიცებას წარმოადგენს.

უნგრეთის დელეგაციის მეთაური.

გადადგა უნგრეთის სამშვიდობო დელეგაციის მეთაური გრაფი აპონი.

ახალი ამბები

26 მაისის დღესასწაულის მომწყობი კომისია იწვევს თავის ყველა წევრებს სასახლეში დღეს, საღამოს 6 საათზე. საგანგებო სხდომისთვის დასწრება სავალდებულოა.

— 26 მაისს დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი და მთავრობა მიიღებენ მილოცვებს სასახლეში, დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმის კაბინეტში დილის 10 საათზე.

შემდეგ, 10 ს. და 15 წ. დამფუძნებელ კრების პრეზიდიუმი, მთავრობა და მოწვეული სტუმრები ჩამოივლიან ჩამწკრივებულ პროცესიებს.

26 მაისის დღესასწაულზე წესრიგის საერთო ხელმძღვანელობა დაევალა დამფ. კრების წევრს გრ. გიორგაძეს. ამას გარდა კერძოთ სტადიონზე ხელმძღვანელობა დაევალათ—ალ. ი. დიდებას, თავისუფლების მოედანზე—ანდრონიკაშვილს, გზაზე სტადიონამდე შ. აბდუშელიშვილს. ამ დღის წესრიგის დაცვის საქმეში მილიცია და აგრეთვე ყველა ემორჩილება მთავარ ხელმძღვანელს გრ. გიორგაძეს.

— 26 მაისს სტადიონზე „შევარდენთა“ გამოსვლაში მონაწილეობას იღებს 3,000 ქალ-ვაჟი. სხვათა შორის შესრულებული იქნება სიმბოლიური თავისუფალი მოძრაობა „საქართველოს განთავისუფლება“.

◆ დღეს, სამშაბათს, საღამოს სრულ 6 საათზე, სასახლეში სოც.-დემ. ფრაქციის ოთახში დანიშნულია ფრონტის დამხმარე მთავარი კომიტეტისა, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და კომიტეტის მუშაობაში მონაწილეობის მიმღებთა მოსურნე კერძო პირთა შეკრება. ამ უკანასკნელ კრებაზე უნდა გამოცხადდეს ყველა ორგანიზაციათა წარმომადგენლები, ყველა ფრონტის დამხმარეში დაინტერესებული კერძო პირებიც. უწყებებით, ცალკე მოწმობებით არავის არ იწვევენ. და სიმტკიცებელის ფრონტის დღეების პროგრამა და გასაწყობელი დიდი საქმეთ.

◆ შრომის სამინისტრო ამით აცხადებს, თუ 25 მაისამდის არ იქნება წარმოდგენილი მომართვები ფონდიდან სურსათის მიღებისათვის მუშათა და მოსამსახურეთა ძველი სიების მაგიერ ახალი სიები, ამ შემთხვევაში, პური აღარ მიეცემათ. ამიტომ ყველა დაწესებულებისა და წარმოების ადმინისტრაცია ვალდებულია სასწრაფოთ შეიძინოს დაბეჭდილი ბლანკები, შეავსოს იგი და წარმოადგინოს. ბლანკების მიღება შეიძლება შრომის სამინისტროში ყოველ დღე 9—3 საათამდის.

◆ ტრამვაის პარკში დღეს 25 მაისს საღამოს 6 საათზე შესდგება საზოგადო კრება საქ. სოციალ-დემოკრატიულ მუშათა პარტიის წევრთა, (ტრამვაის ყველა მუშა-მოსამსახურეთა). განხილული იქნება ფრიად საყურადღებო კითხვები. სთხოვენ ამხანაგებს ნუ დააგვიანებენ და გამოცხადდენ კრებაზე.

◆ შინაგან საქმეთა სამინისტროს საექიმო სანიტარო განყოფილება ამით აცხადებს, რომ საექიმო პერსონალის რეგისტრაციის ვადა გაგრძელებულია 10 ივნისამდე. რეგისტრაციაში უნდა გამოცხადდნენ როგორც სახელმწიფო სამსახურში მოსამსახურენი აგრეთვე ისინიც, ვინც არა მსახურებენ: ექიმები, ექიმის თანაშემწეები, ბებია-ქალები, ყველა კბილის ექიმები და აგრეთვე აფთიაქის და სააფთიაქო საწყობის მეპატრონენი და ფარმაცევტები. რეგისტრაცია სწარმოებს ქალაქ ტფილისში მცხოვრებთ თვის განყოფილებაში (ქუჩ. ნიგოის ქუჩა № 10) ყოველ დღე დილის 12—3 საათამდე, მაზრებში—მაზრის ექიმებთან, ხოლო ქალაქებში—საქალაქო ექიმებთან. საექიმო სანიტარო განყოფილება ამასთანავე დასძენს, რომ ამ ვადის შემდეგ ძველი რუსეთის საექიმო სია კარგავს ძალას და ვინც არ გამოცხადდება რეგისტრაციაზე, მათზე გავრცელებული იქნება საექიმო წესდების 224—225 და 389 მუხლები.

◆ მუშათა კოოპერატივი „ერთობის“ ყველა მაღაზიებში უკვე ნაწილდება მუშა-მოსამსახურეებზე, სასურსათო წიგნაკების მიხედვით ოთხ ფუნტიანი ნუსხები, თანახმად მომარაგების სამინისტროს მუშათა მაგიდის განკარგულებისა.

◆ ქალათა და ბავშვთა მზრუნველ საზოგადოების კრება, რომელიც დანიშნული იყო 23 მაისს, შესდგება 27 მაისს, საღამოს 6 საათზე. ამავე საზოგადოებამ მოაწყო იურიდიული დახმარების აღმოჩენა ქალებისათვის. მომრიგებელი მოსამართლე მარიამ ილიას ასული ნიჟარაძე აძლევს იურიდიულ რჩევას შაბათობით 1—3 საათამდე საზოგადოების კანცელარიის ბინაზე.

◆ სახალხო უნივერსიტეტში. დღეს, სამშაბათს, 25 მაისს, წაიკითხავენ ლექციებს: 1) განყოფილებაში ს. ასათიანი—საფრანგეთის რევოლუცია. 2) ი. ანთაძე—სახ. უნივერსიტეტზე. მე 3-მე განყოფილება, (ნაძალადევი) ილია ნავაშიძე—სამშობლოიანი საქართველო.

მე-6 განყოფილება. (ვორონ. ქუ.) 1 აბრამიშვილი—სალოცავების ისტორია; 2) გორგაძე—საქართვ. გეოგრაფია (ცენტრში (მლიხან. ჰრ- 123) ეკ. ტურიაშვილი—მიგინე; 3) გ. ბარნოვი-ქართული მწერლობა;

ლექციები დაიწყება საღამოს 7 ს.

— მაისის 25 გამოვა სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ჯგუფის სამეცნიერო, ლიტერატურო და საპოლიტიკო ჟურნალი „მომავლის“, პირველი ნომერი.

კრებები.

— პარასკევს, 28 მაისს დანიშნულია ს. ს. დ. მ. პარტიის ნაძალადევის მცირე ქალ. საზოგადო კრება.

— დღეს, 25 მაისს, საღამოს 7 ს. პირველ გიმნაზიის შენობაში გაიხსნება სრულიად საქ. მასწ. კავშირის კონფერენცია.

გამოუდებლად თაყვანისცემული მაინც არ მეგულება, რომელნიც ამ ტრაგიკულ ვენერალურ შტაბს მოგვიყვანდნენ დღეს დასავლეთ ევროპის სოციალისტთა შორის.

უწინარეს ყოვლისა მე წარმოდგენილი მქონდა, რომ ეს კომისია უნდა შემდგარიყო ევროპის ყველა სოციალისტურ ფრაქციებისა და მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებისაგან. მე ძლიერ კარგად ვიცი, რომ ევროპის „მობოლშევიკე“ შორის ყოველთვის მოინახება საკმაო რიცხვი ამხანაგებისა, რომლებიც მზად იქნებიან „თვალები დახუჭონ“, როგორც ეს მაიდინებს შეეძლო „უკიდურესს მემარცხენეებმა“; ამათ შესაძლებლად ხსენებაც არ დაინახავთ სისხლი მუშებისა, რომელიც 1918 წ. 5 იანვარს დამფუძნებელ კრების დასაცავად გამართულ მანიფესტაციის დროს დაიღვარა, არ დაინახავთ შიმშილი, მუშათა წინააღმდეგ მიმართული სისხლიანი რეპრესიები,—იმ მუშათა წინააღმდეგ, რომლებმაც გაბედეს თავიანთი მოთხოვნილებები წამოეყენებინათ. მაგრამ, მე ვფიქრობ, რომ როდესაც ეს მობოლშევიკო ელემენტები მოყვებიან დიდ კომისიაში, ძალა-უნებლიეთ აღჭურვილ და მიუდგომელობის მგრძნობ კომისიაში,—ეს ელემენტები იძულებულნი იქნებიან სხვებთან ერთად გამოიკვლიონ ნამდვილი ფაქტები ადგილობრივად; ყოველ შემთხვევაში ისინი, დიქტატურის მოსამართლეებზე ლამაზად მაინც არ დაუშვებიან.

დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რათა კომისია სრული და ძალა-უფლებით აღჭურვილი იყოს. მე უკვე მქონდა საშუალება ამის შესახებ შემეტყობინებინა ამხანაგებისადმი მიმართულ წერილში, რომელიც „Republique Russe“-ში დაიბეჭდა. აქ მე უნდა აღვნიშნო, რომ ამ წერილში ერთ წლის წინათ გამოთქმული საშიშროება, სამწუხაროთ, სავსებით გამართლდა.

რას ვფიქრობ მე ლენსბერისა და მის მოგზაურობის შესახებ?

ლენსბერი,—რომელზედაც ნამდვილად არავინ იცის—ლოიდ ჯორჯის აგენტია იგი, თუ ადამიანი, რომელსაც გული აუჩუყა „მის უდიდებულესობათა—კომუნისტების“ მზრუნველ შეხვედრამ, რომელმაც ამასთანავე არ იცის არც ერთი რუსული სიტყვა,—ეს ლენსბერი დიდის ხალისით აგროვებს ყოველგვარ ჭორს და ქებადიდებას ახსნას „ბოლშევიკების“ რეჟიმისა და ყოველგვარ მათ მიერ ჩადენილ „მიღწევებისა“. ის მე მაგონებს დასავლეთის ლიბერალებს, რომლებიც მეფის დროს ნანახულებენ რუსეთის იმპერიას. ადგილობრივ განებებული მზრუნველ შეხვედრით, ისინი ბრუნდებოდნენ შინ და ამტკიცებდნენ საზოგადოებრივ აზრს. და მათ შორისაც კი მოინახა პატიოსანი ამერიკელი ჟურნალისტი, რომელმაც ალექსანდრე მე-3 დროს მოიარა ციმბირის კატორღები და მთელ ქვეყანას დაუსურათა მეფის რეჟიმის სიმკაცრე და საშინელებანი.

მე ღრმათ ვგრძნობ გულის ტკივილს, როდესაც ვხედავ, რომ ფრანგი სოციალისტები სრული დუმილით ეპყრობიან ჩვენი მეგობარის მარტოვის წერილისა და ახლანდელის ვიზიტს, იმ მარტოვის, რომლის ერთ ნაკვესაც კი უფრო მეტი ქვა და რევოლუციონური და სოციალისტური გრძნობა აქვს, ვიდრე ყველა „მობოლშევიკე მეგობრებს“ ერთად; გული მტკივა, როდესაც ეს სოციალისტები ამავე დროს ლენსბერის ფიქტიურ რეჟიმის იმედიანად ცნიანკურს, რამდენათაც მყვირალს.

როგორც უკვე განვაცხადე ფრანგ ამხანაგებს პარიზში უკანასკნელად ყოფნის დროს და ბერნის კონფერენციაზე,—მე მეგობრებით უნდა აღვნიშნო, რომ მუდამ მზადა ვარ, თუ გამოცდილების წინაშე, უფრო მეტ ხანგრძლივობას იჩენს ჭეშმარიტებისათვის, ვიდრე სოციალისტები.

ბოლშევიკების აღტაცებით ეს მხედრობა და მათი შიში ჭეშმარიტების გამორკვევის საქმეში ნათელს ჰფენს, ჩემის აზრით, იმ პოზიციას, რომელიც მათ დაიჭირეს რუსეთში წასასვლელ პასპორტების მიცემაზე უარის თქმის საკითხში. ჩვენ აღვნიშნავთ აგრეთვე, რომ მაშინ, როდესაც ანტიბოლშევიკებმა პროტესტიც კი არ განაცხადეს ამ უხეში და უაზრო უარის გამო, „მობოლშევიკენი“ სასტიკად, სიხარულით შეხვდნენ უარს.

მეტად დამამძიმებელ სიმპტომს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამ უკანასკნელებმა მშვიდობიანათ ნამუშევარს მუშები და მათი წარმომადგენლები სრულიად უკრიტიკოთ ღებულობენ,—იმ მკვლელების ნამუშევარს, რომლებიც მიმართავდნენ კითხვებით არა რუსეთის ხალხს, არა პროლეტარიატს, არა რუსეთის სოციალისტურ მთავრობას. რას იტყოდით, რომ სოციალისტურმა კომისიამ, რომელსაც დავალებული აქვს ანკეტა მოახდინოს უნგრეთში თეთრი ტერორის შესახებ,—რომ ამ კომისიამ კითხვებით მიმართოს ჰორთის და არა უნგრეთის პროლეტარიატს, რომელიც დევნილი და სისხლის ტალღებშია ჩახრჩობილი?

და ნუ თუ ამ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას, რომ ზოგიერთი მემარცხენე ელემენტები, რომლებიც ასე მხარს უჭერენ ამ „მკვლელებისა—მოღალატეების“ წესებს,—რომ ეს ელემენტები თავიანთ ფრაქციულ ინტერესებს ჭეშმარიტებაზე მაღლა აყენებენ და რომ მათ ეშინიანთ ამ ჭეშმარიტებისა?

საზღვარ გარეთ მყოფ ყველა სოციალისტების აგრეთვე იმ ამხანაგების, რომლებიც ინტერნაციონალში იმყოფებიან და რომლებსაც ჯერ კიდევ შეუნარჩუნებიათ სინამდვილის გრძნობა—ყველა ამათ მოვალეობას შეადგენს მოიკრიბონ მთელი თავიანთი ძალები რუსეთის მდგომარეობის შესახებ ჭეშმარიტების სრულად და ღრმად გამორკვევის მოსაწყობად.

მთელი საქართველო ერთ მთლიან ფრონტად უნდა გადაიქცეს.

26 მაისისათვის

ხელოვნების კომისიასთან არსებულმა ფრონტის სადღესასწაულო კომისიამ შეადგინა მრავალი მოწერილობები და ყოფით გაგზავნებით ყველა ფრონტისკენ და თუ რამ დარჩება გადაუგზავნელი, დაუყოვნებლივ გადაეცემა ფრონტის მთავარ კომიტეტს.

დღესასწაულის მომწყობ კომისია სასურველად მიაჩნია, რომ, მოქალაქეთაც იქ ჰქონდეთ თავიანთი ავტომობილები, ურმები და ეტლებზე ყოველგვარი ყვავილები (ქალაქდიანის და ციცხალი).

ყველა სასწავლებლები მასწავლებელ-მოწაფეებით აკრიბებიან ქალთა მეშვიდე გიმნაზიასთან და შემდეგ, როცა პატარა დილის ქუჩით გაემართება შევარდენი, უნივერსიტეტის სტუდენტობა, მათ გაჰყვებიან ეს სასწავლებლებიც და თავისუფლების მოედანს მიექცევიან განიერის ქუჩიდან.

დამზადდა სადღესასწაულო ნიშნები და სურათები და ერთიანად მათი ყიდვა შეუძლიათ ორგანიზაციებს და დაწესებულებებს (აგრეთვე პროვინციიდან) სასახლეში, ხელოვნების კომისიაში.

სადღესასწაულო კომისიამ წესრიგის დაცვისთვის აირჩია გამგენი თავისუფლების მოედნის, კონცერტის გასავლელ ქუჩების და სტადიონისთვის. გამგენი დაიქვემდებარებიან სხვადასხვა ხაზატიო პირნი და აგრეთვე ასი სტუდენტი და ორასი მოქალაქე შესამჩნევი ნიშნებით.

მეტეხელთა კავშირი იდგება ღრმა ხერხემლიკოვის ქუჩის მხრიდან.

ამხანაგებო!

26 მაისი ჩვენი რესპუბლიკის მშრომელთა დიადი დღესასწაულია.

ამ დღეს საუკუნეობრივი ნატვრა ჩვენს ნების-ყოფას, ჩვენს თავისუფლებას.

ამ დღეს მუშათა კლასმა გამოიჩინა თავისი სახე და გაიმიჯნა ყველა ჯურის ბურჟუაზიისაგან.

მან გადაწყვიტა თვითონ გახდეს თავის ბედის ბატონ-პატრონი და ცხოვრება ისე მოაწყოს, როგორც ეს მის ნება-სურვილს შეეფერება.

ჩვენი დემოკრატიულ რესპუბლიკის ორი წლის არსებობის ხანაში ყოველი ცდა უმსხვილესებელ ელემენტებისა და სახელმწიფოებს მოესპოთ საქართველოს მუშათა კლასისთვის თავიანთი ნების ყოფა,—ყოველთვის პროტესტით და ზიზღით იყო უარყოფილი.

მუშათა კლასი დღესაც მტკიცეთ სდგას თავის გამოწვეულებაზე და არავის არ დაუთმობს თავის თავისუფლებას.

ამის დამამტკიცებელი საბუთია ის, რომ მისი გვარდია კიდევ აქამდე აღმართავს რესპუბლიკის საზღვრებზე და იცავს მის დამოუკიდებლობას.

როდესაც ძლიერია ნების ყოფა და მტკიცეა სურვილები, ძლიერია შეგნება და გრძნობიერება,—ამ დროს არავითარი მუქარა საფრთხეს არ წარმოადგენს. ეს სიკვდილია მტრების და თავდებაა გამარჯვების.

სეკრეტარიატი მოგიწოდებთ თქვენ, ამხანაგო მუშებო, ამ დიად ისტორიულ დღეს გამოხვიდეთ ქუჩებში და ერთხელ კიდევ დაანახოთ მთელ მსოფლიოს, თუ რას ფიქრობს საქართველოს პროლეტარიატის ავანგარდი—თბილისის მუშები.

ყველა ქუჩებისაკენ! დილის 12 საათისათვის შეიკრიბენით მუსიკით და დროშებით მუშათა სახლებთან!

გაუმარჯოს საქართველოს რესპუბლიკის დამოუკიდებლობას!

გაუმარჯოს ერთა სოლიდარობას!

გაუმარჯოს სოციალიზმს!

თბილისის პროფ. კავშირთა საბჭოს სეკრეტარიატი.

პაწია ქართველებმა თავის მოვალეობა შეასრულეს მეომართადმი.

ფრონტისთვის

კვირას დიდი დღესასწაულის მოწმე გავხდით. პროფესიონერების პატრონებს რომ ეს სიცოცხლე, ვუძღვნიდნენ ამ დილიდან და ღამის სიბნელემდე.

ათი საათიდან იწყეს სასახლიდან მოსვლა სხვადასხვა სასწავლებლის მოწაფეებმა. ყველა მოწაფეებს ხელში ჰქონდა, ან რამდენიმე პარკი საჩუქარი ეჭირა.

მწყობრად, დამაზით ორ-ორი მიდიოდნენ დანიშნულ ადგილს და აღტაცებით ჩააბარებდნენ ამ ძღვნებს, მაგრამ სულით და გულით მოსდევდნენ ფრონტის საჩუქრებს.

რამდენიმე ათასი საჩუქარი შემოვიდა სამი საათის განმავლობაში. ზოგი სასწავლებლები კი მირბიოდნენ დიდრონი კალათებით მოჰქონდნენ ათასობით საჩუქრებს, რომელიც სკოლაში მოეგროვებინათ.

ორშაბათს, ან სამშაბათს წავა ფრონტისაკენ პირველი მატარებელი საჩუქრებით.

პირველ საათზე კვირას მოხდა დიდი კრება მთავარი კომიტეტისა, სხვადასხვა ორგანიზაციების წარმომადგენლებისა და კერძო პირებისაც, იქნა დანაწილებული სამუშაო ფურცლები. საჩუქრების და შემოწირულებების მოგროვება გრძელდება, როგორც საჩუქრები, აგრეთვე ფულები შემოდის მრავლად.

ამ დიდებული სურათის მნახველნი ამბობდენ: ასეთ ხალხს, ასეთ ერთსულოვან ერს, ასეთ დემოკრატიას ვერავინ სძლევს, ვერ დაჩაგრავსო.

გამოცხადდენ კომისიაში ქალები, რომლებმაც შვილები ფრონტზე ჰყავთ და განაცხადეს: გვიმსახურეთ, გვამუშავეთო...

ქართველმა ქალმა თავი წამოყო... და მოგვაგონა ძველი ქართველი დედა, რომელიც მწარედ მოსთქვამდა: „არა მწყინს მე ორი შვილის, რომში მოკლულის გმირულად, ვტირი ცოცხლად დარჩენილსა უსახელოდ“. დღეს ფრონტზე ყველა გამოვიდა... არა თუ ქართველი, რუსი, სომეხი, თათარი, ებრაელი—ყველა ერთად. ყველა გრძნობს რა განსაცდელი მოგველის კარს.

ყველას მოაქვს თავის წვლილი. ყველა იხდის ვალს. თითო, პატარა, დიდი, მდიდარი დღეს ფრონტისაკენ იცქირება, იქიდან მოელის შვილს, ძმას, თავისუფლებას, გამარჯვებას.

არავის იშურებენ არც ნივთებს, არც ფულს.

დიდი მუშაობა და ენერგია საჭიროა, რომ ეს ნივთები ფრონტზე და ორგანიზაციულად განაწილდეს, გაიგზავნოს.

ამხანაგებო! მოქალაქენო! დახმარება, საჩუქრების მოგროვება განაგრძეთ. მთავარ კომიტეტსაც დაეხმარეთ მუშაობაში.

ს. დ.

ფრონტის დამხმარე მთავარ კომიტეტში.

თბილისის მოსწავლე ახალგაზრდობისაგან ფრონტზე გასაგზავნად დამზადებულ საჩუქრების მთავარ კომიტეტის საწყობებში გუშინდელ დღეს მიღებამ მოლოდინს გადააჭარბა. არ დარჩენილა არც ერთი სასწავლებელი არც ერთ—ერთეულებისა, რომ მწირი მოსწავლეთ სიყვარულით გამზადებული ჩანთა არ მოეტანა თავისი ხელით. ჩანთებში იყო არა მარტო სასწავლებლებიდან, მაგ. 5-ნ ვაჟთა გიმნაზიამ წარმოადგინა მრავალი საჩუქარი და 50 დამზადებული ჩანთა.

— [illegible] კომიტეტმა, მაწია—შვრის წინადადებით, რომელმაც პირველი თანხა შემოიტანა—დ. არ. და ანდრონიკაშვილის სახელობის ფონდი, რისთვისაც კომიტეტმა გადასდო 50 000 მან., რომელიც სხვა თანხასთან ერთად გადაეცემა „ქვრივობისა და ბავშვთა დაცვის“ საზოგადოებას ომში დაღუპულ ობოლთა გასაზრდელად.

— კომიტეტს მოსდის მრავალი შემოწირულებანი. მეორე ქართულმა კლუბმა, სპორტსმენთა კლუბმა, ბაღმა „მერცხალმა“ და ცირკმა „კრისტენამ“ ერთი დღის შემოსავალი გადასდეს ფრონტისთვის.

— ყველა ორგანიზაციას დაევალა თხოვნა შეუდგნენ 29 და 30 მაისის „ფრონტის დღეების“ სამზადისს.

— ვაჭრობა მრეწველობის პალატის პირველი საჩუქრების ტრანსპორტი ფრონტზე იგზავნება ხვალ, 25 მაისს.

— კომიტეტი სთხოვს ყველა ორგანიზაციებს, რომლებიც კომიტეტის შეუკითხავად და დაუხმარებლად ფრონტზე გზავნიან საჩუქრებს აცნობონ რა მიმართულებით და რა საჩუქრები გაგზავნეს ფრონტზე, რომ არ მოხდეს საჩუქრების ერთ ადგილს დაგროვება და მეორე ნაწილი არ დარჩეს დაუკმაყოფილებელი.

— მთავარ კომიტეტმა ტრანსპორტის საქმის მოსაწესრიგებლად მოიწვია ამ საქმის მცოდნე ბ-ნი თულაშვილი, რომელთანაც სასახლეში შეიძლება ცნობების მიღება.

— შემოწირულებათა მიღებამ რომ არ მიიღოს არა სასურველი ხასიათი, ყველა შეგროვილი თანხები უნდა გადაეცეს კომიტეტის ბუღალტერს ბ-ნ კალანდარიშვილს სასახლეში.

— კომიტეტმა შუამდგომლობა აღძრა შინ. საქ. მინისტრის წინაშე, რათა 29 და 30 მაისს ნება მიეცეს ღამის ორ საათამდის ვაჭრობისა ყველა იმ გასართობ დაწესებულებათა და ბაღებს, რომლებიც წმინდა შემოსავალს [illegible] ფრონტის სასარგებლოდ, [illegible] თაც წინადადებით უნდა [illegible] სურვილი.

— ქალაქის [illegible] ტეტს, რომ [illegible] განსახორციელებლად [illegible] ერთ [illegible] ფრონტის [illegible] საქმეს.

— პროფესიონალ კავშირთა წარმომადგენლებმა გადასწყვიტა კავშირთა ბიბლიოთეკის გამგეობას და მასთან შემდგარ კომისიას თბილისის მუშებისაგან შემოწირული წიგნები და ახალი, რომლებიც ყოველდღე დაურიგებლად გამოეგზავნება ფრონტზე და ჯარისკაცებს თბილისის ყველა ლაზარეთში.

— პროფესიონალ კავშირთა მთავარი ბიბლიოთეკის (სანდრო მაისურაძის სახელობის) გამგემ ლ. მეგრელიძის ქალმა იკისრა ქვარელის ლაზარეთში № 41 ბიბლიოთეკის განყოფილების ხელმძღვანელობა.

— შაბათს, მაისის 22 ს. სახალხო ქვარელის ლაზარეთში № 41 დაჭრილთათვის მზრუნველი კომისიისაგან გამართულ იქნა კონცერტი.

ბათომი

ქალაქის მცხოვრებთა აღწერა უკვე დასრულდა. შედეგი ასეთია: ქართველი,—10,112 კაცი, რუსი (ლტოლვილებითურთ)—7302, სომეხი—12836 კაცი, ამ რიცხვში შედის 5240 ლტოლვილი, ბერძენი—8598 კაცი მათ შორის 1545 ლტოლვილი, ებრაელი—(ლტოლვილებითურთ)—1705, ევროპის სხვა და სხვა ერთა—1182, თურქი (ლტოლვილებით)—1834, აზიის სხვა და სხვა ერთა—1789 კაცი. სულ ქალაქში ამჟამად, ითვლება 43348 სული მცხოვრები.

— საოკუპაციო ძალების გასაძლიერებლად გუშინწინ მოვიდა ერთი ბატალიონი ფრანგების ჯარი.

თფილისში ფრონტის დღეების მოწყობის სამზადისშია.

უცხოეთი

სომხეთი.

ყარსის აჯანყებულთა გასამართლება. პარლამენტის წევრი ალბაშიანი შემდეგს ატყობინებს პრემიერ თეგანჯანიანს: 15 მაისს „სამშობლოს დაცვის კომიტეტმა“ დაარსა სახალხო სამხედრო ტრიბუნალი“ პარლამენტის წევრისაგან სორგინის თავმჯდომარეობით; ტრიბუნალმა უკვე დაიწყო მუშაობა. ტრიბუნალის წევრებია: 1 პოლკოვნ., 1 სამოქალაქო ინჟინერი, 1 სამხედრო და 1 სამოქალაქო გამომძიებელი. ტრიბუნალს უკვე ხელთ აქვს დოკუმენტები დალატის ხელმძღვანელთა შესახებ. აღმოჩენილია თარიღი, რუს და მერიძეთ ნაციონალისტური საბჭოების გაერთიანებულ სხდომის (10 მაისი) შემდეგი დადგენილება: მოაწყონ გამოსვლა ბოლშევიკებთან ერთად, ძირს დასცენ კონტრ-რევოლუციონური და დემოკრატიული სომხეთის მთავრობა და გამოაცხადონ საბჭოთა მთავრობა. დაჭერილია აგრეთვე შესაფერი მოწოდება მცხოვრებთადმი, რუს ნაციონალურ საბჭოს მიერ გამოცემული. შეთქმულებს და მოღალატეებს მხარს უჭერდენ თურქები, დამნაშავენი, დეზერტირები და კონტრ-რევოლუციური ელემენტები. მილიციონერებმა შეტაკების დროს მრავალი დამნაშავენი დაიჭირეს, ზოგი მოკლულ იქნა. ალექსანდროპოლში გაიქცნენ შემდეგი დამნაშავენი: კაპ. მელიქიანი, არამ თავმახიანი, მიხეილ თავმახიანი, ალექსანდრე ნაზარიანი, მარტუნი, ჰაიკ ალიხანიანი, ტიმონტრი ვარდანიანი, შემდეგი სურენ, უნტერ-ოფ. გევორქ ტონიანი დოქტორი.

რესპუბლიკაში არ უნდა დარჩეს არც ერთი მხარე, კუთხე, რომ 29 და 30 მაისს არ გამართოს ფრონტის დღეები.

თავდაცვისათვის

თბილისის მაზრის ერობის გამგეობამ შემდეგი შინაარსის მიმართვა დაუგზავნა მაზრის ყველა სკოლების გამგეებს.

ჩვენ მებრძოლთა და აქ დარჩენილ მათ ოჯახების ხმეტრიოტულად და მუდმივ დასახმარებლად თბილისის მაზრის ერობის განყოფილების სახალხო განათლების განყოფილება გადმოგცემთ წინადადებას ამის მიღებიდან სამი დღის განმავლობაში:

1) მოაწყოთ შემოწირულებათა მოგროვება მებრძოლთა ოჯახების სასარგებლოთ და შემომწირველთა სიასთან ერთად წარმოადგინოთ სახალხო განათლების განყოფილებაში.

2) მასწავლებლებმა ყველა მოწაფეებთან ერთად უნდა ჩამოიარონ ყველა სახლები განსაკუთრებით მდიდარ და ღარიბისა და შეაგროვონ ვისაც რის გაღება შეუძლიან.

3) სამასწავლებლოდ დღის არჩევანი

ეძლევა შემოწირულებათა შემკრებლებს. დღეს დაერქმევა „ფრონტის დღე“.

4) შეიძლება შემოწირულებათ მიღებულ იქნას ყველაფერი, რაც გლეხის ოჯახში მოიპოვება: ფული, ნივთები, ხალიჩა, საქონელი, ფრინველი და სხვა, იმ მიზნით, რომ ყველა ეს შეგროვილი ადგილობრივ ან ქალაქში გაიყიდოს და ფულათ იქცეს.

5) თვით შემომწირველებსაც შეუძლიათ შემოწირულებას ესა თუ ის დანიშნულება მისცენ. თუ იგი დიდი იქნება (მაგ. ობლებს, ქვრივებს №№ რაიონისას, ან სტიპენდიების დასაარსებლად ამა და ამ სასწავლებლებში და სხ.), წვრილმანი შემოწირულებანი კი გადაეცემა ფრონტისთვის ამა თუ იმ დასახმარებელ დაწესებულებებში სახალხო განათლების განყოფილების მიერ.

6) სკოლების ყველა გამგეებს ევალებათ არ დაივიწყონ, რომ დაწყებული საქმის წარმატებით დაგვირგვინება სავსებით დამოკიდებულია მათ ენერგიასა და გულმოდგინებაზე.

გარდა ყველა ზემოხსენებულისა, სასკოლო განყოფილებას დროის შესაფერად მიაჩნია ეხლავე შეუდგეს შრომათა ოჯახებისთვის შრომით დახმარების ორგანიზაციის მოწყობას.

ამ მიზნით ერობის სკოლათა გამგეებს ევალებათ ეხლავე შეუდგნენ:

1) იმ ოჯახების სიის შედგენას, რომელთაც მობილიზაციის გამო მოაკლდათ მუშა-ხელი და დაჰყონ ისინი კატეგორიებათ გაჭირვების მიხედვით.

2) შეადგინონ მოწაფეებისგან (შეძლების დაგვარათ), მშრომელთა ჯგუფები (დრუჟინები), რომელშიც იქნება არა ნაკლებ 10 ყმაწვილისა.

3) თვითეული ჯგუფი თვით მასწავლებლის ან უფროსი მოწაფის ხელმძღვანელობით ეხმარება შესაფერის ოჯახებს მიწის მუშაობაში (ბაღში, ბოსტანში, ვენახში და სხ.).

4) ამ მშრომელთა ჯგუფების მუშაობა გრძელდება ყოველ დღე არა უმეტეს 4 საათისა.

5) მშრომელთა ჯგუფის ხელმძღვანელი ყოველ დღე აწარმოებს დღიურს, სადაც აღნიშნავს: ვისი და რა სამუშაო გაკეთდა, რამდენი კაცი იღებდა მონაწილეობას და რამდენ საათს მუშაობდნენ.

6) ჯგუფის ხელმძღვანელათ შეიძლება მოწვეულ იყოს გარეშე პირებიც, რომელთაც შეგნებული აქვთ დღევანდელი მომენტის სიდიადე.

7) ამ დღიურების მიხედვით სახალხო განათლების განყოფილებაში ხელმძღვანელი გზავნის ყოველ კვირა ცნობებს მუშაობის მიმდინარეობაზე და ადგილობრივ მცხოვრებთა დამოკიდებულებაზე ამ მუშაობისადმი.

8) როდესაც ამა თუ იმ ოჯახში ეს ჯგუფი დაამთავრებს მუშაობას,—ჯგუფის ხელმძღვანელი, ჯგუფის ყველა წევრთა ხელმოწერით გზავნის წერილს ამ ოჯახიდან ფრონტზე გაწვეულ წევრს შესრულებულ სამუშაოს შესახებ.

9) ჯგუფებში მონაწილეობის მიღება შეუძლიათ გარდა მოწაფეებისა, გარეშე პირებსაც, თუ კი ისინი იზიარებენ მშრომელ რაზმის მიზანდასახულებას.

10) მშრომელთა ჯგუფებს სახელი ეწოდებათ იმისდა მიხედვით, თუ სად შედგება იგი, მაგ. სოფ. ხიზნის ერობის სკოლის მშრომელთა ჯგუფი და სხ.

11) ჯგუფის წევრებს შეუძლიათ შექმნან ერთნაირი ფორმა ან ქუდზე ან რაიმე ნიშანი მხარზე ან მკლავზე.

12) ამა თუ იმ ჯგუფის ქება სმა უნდა იცნობოს იმ საზოგადოებამ, სადაც მუშაობა წარმოებს ერობის დახმარებით.

13) ეს ჯგუფები უნდა მიიღონ თავის მფარველობის ქვეშ კულტურულ-განმანათლებელმა დაწესებულებებმა, აგრეთვე კერძო პირებმა, რომელნიც მოისურვებენ მათ შენახვას თავის ხარჯზე. და სახელსაც ატარებენ იმ დაწესებულებისას, რომლებიც მოისურვებენ იმ ჯგუფების კვებას.

14) ადგილობრივ თემს და რაიონის და სოფლის კომისრებს ევალებათ ყოველგვარი დახმარება აღმოუჩინონ მშრომელთა ჯგუფებს.

15) მშრომელთა ჯგუფები უნდა განაგრძობდნენ თავის მოქმედებას მშვიდობიანობის დროსაც; ამ ჟამად კი მათი მოწყობა აუცილებელ საჭიროებას შეადგენს.

ამგვარი მშრომელთა ჯგუფის მოწყობას აზრად აქვს გარდა პირდაპირ ეკონომიური მიზნებისა, დიდი აღმზრდელობითი მნიშვნელობა დემოკრატიულ სახელმწიფოში, ვინაიდან ის აღვიძებს მოწაფეებში საზოგადოებრივ გრძნობას, აჩვევს ყურადღებით და სათუთად მოეპყრას სამშობლოს დამცველებს, აღვიძებს სამშობლოსადმი შეგნებულ სიყვარულს და საზოგადოდ წარმოადგენს საუცხოვო საშუალებას ღირსეული მოქალაქეების აღსაზრდელათ.

მშრომელთა ჯგუფებთან ერთად სასურველია დაარსდეს აგრეთვე წოდებული „მშრომელ ქალთა ამხანაგობა“, რომელსაც მიზნათ ექნება ფრონტისათვის შეჰკეროს საცვლები და ტანსაცმელი.

ამ ამხანაგობის მიზანია ხარჯების შემცირება და საჭირო ტანისამოსის სწრაფად დამზადება.

ამხანაგობამ შეიძლება იმუშაოს სრულიად მუქთად ანდა მცირე სასყიდლით. ამხანაგობას მიეცემა საჭირო მასალა სამზადო ნაწილიდან (ინტენდანტობიდან) ერობათა ცენტრიდან და ქალაქთა კავშირიდან.

დამფუძნებელი კრება

25 მაისის სხდომა.

თავმჯდომარეობს ექ. თაყაიშვილი.

ქრ. შარაშიძის მოხსენებით მიღებულ იქნა საბოლოო ტექსტები: კანონ პროექტისა საგარეო საქმეთა სამინისტროს კანცელარიის შტატისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, კანონ-პროექტი ფოთის საკარანტინო, სოხუმის საზღვაო-საექიმო და სენაკის სანაპირო საექიმო სამეთვალყურეო საგუშაგოების შტატისა და ხარჯთ აღრიცხვის დამტკიცების შესახებ, საბოლოო ტექსტი დეკრეტისა აზრუმის მარკის, თამბაქოს და მარილის მწარმოებლებისათვის სესხის მისაცემად 75.000.000 მან. გადადებისა, დეკრეტი 219,745 314 მან. გადადებისა სახელმწიფო სამინისტროს 1919—1920 წ. ხარჯთ-აღრიცხვის დამატებათ.

დეკრეტი სოციალური დახმარებისა და მისი ორგანიზაციისა.

ი. ფირცხალაიშვილი (მომხს.) აღნიშნავს, რომ წარმოდგენილ დეკრეტს დროებითი ხასიათი აქვს. საპენსიო წესდება, რომელსაც დიდი მუშაობა ესაჭიროება, ჯერ-ჯერობით არ არის შედგენილი. შრომის უნარ დაკარგულთ, გაჭირვებულთ დაუყონებლივ ესაჭიროებათ დახმარების აღმოჩენა და ამ დეკრეტის თანახმად შრომის სამინისტროსთან დაარსდება სპეციალური კომისია თავის მცირერიცხოვანი შტატით, რომლის ხელშიაც იქნება შრომის უნარ დაკარგულთათვის დახმარების რაოდენობის განსაზღვრა და მთელი ამ საქმის გაძღოლა. სოციალურ დახმარებისათვის საჭიროა, ერთი წლის განმავლობაში 26 მილ. მანეთი. ამ დეკრეტის თანახმად დახმარება არ აღმოუჩნდებათ იმათ, ვინც შრომის უნარი დაჰკარგეს ჯარში, იმათთვის ცალკე კანონ პროექტები არის. დახმარება აღმოუჩნდებათ საქართველოს ქვეშევრდომ, მაგრამ დახმარება მიეცემათ აგრეთვე არა ჩვენ სახელმწიფოთა ქვეშევრდომთაც, რომელთაც უმეტესი ნაწილი თავიანთ სამსახურის საქართველოში გაუტარებიათ, და უკანასკნელ ორი წლის განმავლობაშიაც აქ უცხოვრიათ.

სამოქალაქო საფინანსო კომისიის სახელით დ. ონიაშვილი აცხადებს, რომ კომისია თანახმაა წარმოდგენილ დეკრეტისა.

გრ. ვეშაპელი. მოხუცთა მდგომარეობა მეტად უნუგეშოა. საჭიროა სახელმწიფომ ისევე იზრუნოს მოხელეთათვის, როგორც მუშა-მოსამსახურეთათვის. მუშებს აქვთ ძლიერი ორგანიზაციები—პროფესიონალური კავშირები, მუშებს აქვთ საშუალება თავიანთ ინტერესები დაიცვან, მოხელენი კი ამ მხრივ სუსტნი არიან. საჭიროა სასწრაფოდ იქნას შემუშავებული პენსიის საკითხი ყველასათვის. ამ დეკრეტით დახმარება ეძლევათ ინვალიდებს და უსახსროებს. დახმარება უნდა მიეცეთ აგრეთვე მათ, ვინც შრომის უნარს არ არის მოკლებული, მაგრამ დიდი ხნის ნამსახურია. ძნელია ასე დაგდოთ მოხელეთა უსახსრო და სახსრიანი. პენსიის საკითხის მოგვარებას სახელმწიფოებრივი ინტერესებიც მოითხოვს. ბევრი მოხელე დაუძლურებული მაინც განაგრძობს მუშაობას, რადგანაც პენსიის მოლოდინშია. როდესაც პენსიის საკითხი გადაწყვეტილი იქნება, ასეთი მოხელენი გავლენ სამსახურიდან და მათ ადგილს დაიჭერენ უფრო ახალგაზრდანი, რაც საქმისათვის სასარგებლო იქნება.

ილ. ფირცხალაიშვილი. მართალია ვეშაპელი, როცა ამბობს, რომ ბევრი მოხელე გაჭირვებულ მდგომარეობაში იმყოფებიან. საპენსიო წესდების დამუშავება საჭიროა და წარმოდგენილ დეკრეტს მიზნად აქვს დაჩქარებული დროებითი დახმარების აღმოჩენა პენსიების საკითხის გადაწყვეტამდე. რაც შეეხება ვეშაპელის განცხადებას, რომ ჩვენ ამ დეკრეტით შეღავათებს უპირატესად ვაძლევთ მუშებს, ეს არ არის მართალი.

ამ დეკრეტის თანახმად დახმარება ერთნაირად ეძლევა ყველას, დახმარება მიეცემა ყველას—ინვალიდ მოხელეს, თუ მუშას. რაც შეეხება იმ პირთ, რომლებიც დიდი ხანია მუშაობენ სამსახურში, მაგრამ შრომის უნარი არ დაუკარგავთ, ასეთ პირებს არ მიეცემათ დახმარება. მათ შეუძლიათ მაშინ მიატოვონ სახელმწიფო დაწესებულება და კერძო პირთან იმსახურონ, დახმარება კი მიიღონ.

კამათი შეწყდა. გადადიან მუხლობრივ განხილვაზე, რაც იქნა უკამათოდ მიღებული. სოც. დემ. ფრაქციის წინადადება, რომ დახმარება არ მიეცეთ ძველი რეჟიმის დროს დამცველ რაზმში და ჟანდარმერიაში ნამსახურთ, ერთხმად იქნა მიღებული.

ს. მდივანის მოხსენებით უკამათოდ იქნა მიღებული დეკრეტები: სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად 55,400,000 მან. გადადებისა, დეკრეტი სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ აღრიცხვის დამატებათ 28,769,789 მან. და 48 კაპეიკის გადადების შესახებ.

მისივე მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა სამხედრო მფრინავთათვის მაღლა ფრენისათვის გასამრჯელოს მიცემის შესახებ.

ნ. ომანიშვილის მოხსენებით მოხდა პირველი (ზოგადი) განხილვა კანონ-პროექტისა საქართველოს სახელმწიფო ბანკის შტატებისა და ხარჯთ-აღრიცხვის დამტკიცების შესახებ.

მისივე მოხსენებით მიღებულ იქნა დეკრეტი საზღვარ გარეთ სასწავლებლებში მყოფ სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის 12 მილ. მან. გადადებისა.

შემდეგ გაგრძელდა მსჯელობა აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ დავისა და საჩივრის განხილვის წესის დეკრეტის შესახებ.

მელ. რუხაძე აღნიშნავს, რომ მიზანი ამ წარმოდგენილ დეკრეტისა არის ის, რომ რაც შეიძლება დაჩქარებით იქნას გატარებული აგრარული რეფორმა. აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარება დაკისრებული აქვთ ხალხის ნდობით აღჭურვილ ორგანოებს—ერობებს და იმედიც გვაქვს, რომ უკანასკნელნი დაკისრებულ საქმეს ღირსეულად და დაჩქარებით შეასრულებენ. შემდეგ ორატორი საკითხს იურიდიული თვალსაზრისით განიხილავს და ამტკიცებს წარმოდგენილ დეკრეტის მიზან შეწონილებას.

გ. გვაზავა. აღნიშნავს, რომ აგრარულ რეფორმის კანონი არის მიღებული დამფუძნებელ კრების მიერ, მისი ასრულება დავალებული აქვს სამინისტროს. ამ კანონის ფარგლებში ხდება დავა. მაშინ როგორ შეიძლება თვით სამინისტრო არჩევდეს დავებს.

ნ. ხომერიკი. მე მგონია, რომ ბატონი გვაზავა იმეორებს იმას, რაც წინა სხდომაზე თქვა. იგი ამტკიცებს, რომ სასამართლოს არ შეუძლიან წინასწარ შეაჩეროს საქმის გარჩევამდე აგრარულ რეფორმის განხორციელება. მან ახლა ამ საკითხს ეგვარი თქვა. აქ ლაპარაკი იმაზე კი არ არის, რომ სენატს არ სურდეს აგრარულ რეფორმის გატარება. არა, თვით წესი სასამართლოში საქმის წარმოებისა არის ხანგრძლივი: გვაზავა იძახის, რომ როდესაც საქმე შეეხება სახელმწიფოს ან ხაზინას, მაშინ სასამართლოს არ აქვს უფლება წინასწარ შეაჩეროს სამინისტროს გადადგმული ნაბიჯი, მაგალ. მიწა, რომელიც ეძლევათ მიეცა გლეხს, უკან წაერთვას და სხვა. ამის უფლება აქვს სასამართლოს და ამის მაგალითები იყო კიდევაც ბევრი. რა შეღავათები უნდა მოახდინოს ამ გარემოებამ მიწის მუშებზე? გლეხს აძლევთ მიწას და არ იცით სასამართლო უკან წაართმევს თუ არა.

ს. დადიანი აღნიშნავს, რომ აქ სთქვეს სამოქალაქო საქმის წარმოება ძლიერ ჭიანურდებაო. ეს მართალია, მაგრამ ეს საქმეები კანონით უნდა გადაეცეს პირდაპირ სენატს, მის კომპეტენციაში შედის მინისტრების მოქმედების გარჩევა და ეს არაფერია, რომ ძლიერ გაჭიანურდეს. ამ დეკრეტით ირღვევა ეს კანონი, რომელიც მიღებულ იქნა დამფუძნებელ კრების მიერ აგრარულ რეფორმის შესახებ.

სიტყვიანის გამო მსჯელობა შეწყდა. სხდომის დასრულებამდე მიღებულ იქნა შემდეგი საბოლოო ტექსტები დეკრეტებისა: საზღვარ გარეთ სასწავლებლებში მყოფ სახელმწიფო სტიპენდიანტებისათვის 12 მილ. მან. გადადებისა, სახალხო გვარდიის მობილიზაციით გამოწვეული ხარჯის დასაფარავად 55,400,000 მან. გადადებისა, დეკრეტი სახალხო გვარდიის 1919—1920 წლის ხარჯთ-აღრიცხვის დამატებად 28,769,759 მან. და 48 კაპ. გადადების შესახებ და დეკრეტი სოციალურ დახმარების და მისი ორგანიზაციისა.

ნეკროლოგი

კალისტრატე ლაბარტყავა.

12 მაისს ადერბეიჯანის ფრონტზე ჩვენი ჯარის შეტევის დროს მოკლულ იქნა აბაშის გვარდიის შტაბის წევრი—მდივანი კალისტრატე ყარამანის ძე ლაბარტყავა.

განსვენებული ჯერ 26 წლის თუ იყო, დაკვირვებული მუშაკის სახელი დაიმსახურა. მან შესამჩნევი წვლილი შეიტანა ჩვენი რესპუბლიკის გამაგრების საქმეში. სამეგრელოში ბოლშევიკური ანარქიის დროს ის კომისრათ იყო ბანძის მ-თ საზღვრე ს. სენაკში.

წარმომადგენლის მეცადინეობით დაიცვა მან ეს სოფელი გამხეცებულ ბრბოების შემოსევისაგან. მარტო ამითაც გაითქვა მან სახელი. კომისრის და სხვა დროს იღებდა მონაწილეობას ქუთაისის გუბერნიის სხვა კუთხეების ანარქიის ჩაქრობაშიც. ყველგან თავგანწირული მებრძოლი იყო. 1919 წ. არჩეულ იქნა აბაშის შტაბის მდივნათ. აქ მან დიდი პატივისცემა და სიყვარული დაიმსახურა, როგორც გვარდიელების, ისე რაიონის პარტიულ ამხანაგების და საზოგადოების.

მიუხედავათ ავადმყოფობისა, უკანასკნელ მობილიზაციის დროს თავის საყვარელ ამხანაგებს გაჰყვა ფრონტზე. აქ ის თავის სითამამით ამხნევებდა გვარდიელებს, არ იცოდა—რა იყო უკან ჩამორჩენა. მტრის ტყვიამ დასცა ის. სასიკვდილოთ დაჭრილი, ის მოუწოდებდა ამხანაგებს სულ ფრონტის ამბებს ეკითხებოდა. ესენიც გადასცემდნენ სინამდვილეს, რომ მისმა ამხანაგებმა მისი დაჭრა მტერს ძვირად დაუჯდინეს და გამარჯვებულნი წინ მიიწევენ. სიცოცხლის უკანასკნელ წუთამდის ის ამით ხარობდა.

განსვენებული 19 მაისს დაასაფლავეს თავის სოფ. სენაკში. ის დიდი პატივი, რომლითაც განსვენებული დაასაფლავეს,—სიტყვები, რომლებითაც მას მიმართეს მაზრის თითქმის ყველა თვალსაჩინო დაწესებულებათა წარმომადგენლებმა, უცილოდ ლაპარაკობენ მის დაკარგვის დიდ დანაკლისზე.

აბაშელი ამხანაგები მას ვერასოდეს დაივიწყებენ.

ა. ფ—ლი.

ს.-დ. პარტიაში

თფილისის საქონლის სადგური. 16 მაისს შესდგა თფილისის საქ. სადგურის სოც. დემ. მუშების და მოსამსახურეების კრება. დღის წესრიგში იყო: 1) პრეზიდიუმის მოხსენება, 2) მოხსენება მომენტზე, 3) მიმდინარე კითხვები. კრების თავმჯდომარეთ იქნა არჩეული ამხ. ს. კალანდაძე. რკინის გზის რაიონული კომიტეტიდან მოხსენებას აკეთებს ამხ. ლავრენტი წითლიძე, რომელმაც აუხსნა პარტიას რაიონული პარტიული მუშაობა და მოუწოდა ამხანაგებს ენერგიულად და დაუღალავათ იმუშაონ მუშათა კლასის საკეთილდღეოთ და რევოლუციის მონაპოვართა შესანარჩუნებლათ. მომენტის შესახებ პარტიულმა კრებამ მიიღო შემდეგი რეზოლუცია: მოისმინა რა მოხსენება ამხ. ლ. წითლიძის, ამხ. დ. [illegible] და ამხ. ს. ასათიანისა დღევანდელ გარეთ-შინაურ მდგომარეობის შესახებ. პარტიული ორგანიზაციის კრება ერთხმათ მხარს უჭერს საქართველოს დამფუძნებელ კრებას და დემოკრატიულ მთავრობას და ფიცსა სდებს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა რუსეთ-ადერბეიჯანის მარმაროსებისაგან, რომლებიც ლამობენ საქართველოს დემოკრატიას სასიკვდილო ლახვარი ჩასცენ. ჩვენ სანამ ცოცხალი ვიქნებით, არავის უფლებას არ მივცემთ, ჩვენი დამოუკიდებლობის შელახვისას და ფიცსა ვდებთ, რომ საჭიროების დროს მხარში ამოუდგებით სწორი პოლიტიკის მწარმოებლებს დამფუძნებელ კრებას და რესპუბლიკის მთავრობას.

ს. ქრისტინეშვილი.

—

ს. ს. დ. მ. პ. მე-3 რაიონის კოლექტივმა თავის სხდომაზე, რომელიც შესდგა 21 მაისს, დაადგინა: ვინაიდან მოქალაქე მოსე ჯანგველოვს ბრალდება სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენა, დღეის შემდეგ ჯანგველოვი გამორიცხულია პარტიის წევრობიდან.

ქრონიკა

ჯავახეთი. ვინ არ უწყის, თუ რა უბედურება და ჯოჯოხეთი გამოიარა ჯავახეთმა ამ უკანასკნელი წლების განმავლობაში, მაგრამ ყველაფერს დასასრული აქვს და ჩვენი კუთხის ცხოვრებაც თანდათან ნორმალურ კალაპოტში ვარდება. თუ შარშან ხალხი შიმშილით იხოცებოდა, წელს ასეთი გაჭირვება აღარ არის და იმედი მაქვს მომავალში კიდევ უკეთ მოეწყობა საქმე. ამის თავდებია ჩვენი დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა, რომელიც ყოველგვარ ზომებს იღებს ამ მხრივ. მთავრობის გადაწყვეტილებით ახლო მომავალში უნდა მოხდეს ერობის არჩევნები და ამგვარად ჩვენი კუთხეც ეღირსება ნამდვილ თვითმართველობას. ხალხი ერობას ცის მანანასავით მოელის, მასში ხედავს შველას.

მაისის პირველ რიცხვებში ჩვენ გვესტუმრა შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი ივ. ქარცივაძე, რომელმაც დაიარა მთელი მაზრა. ხალხი მთავრობის წარმომადგენელს დიდი აღფრთოვანებით ხვდებოდა. სოფლის ყველა საზოგადოებაში ხდებოდა კრებები, რომლებზედაც ბ-ნი ქარცივაძე აცნობდა დამსწრეთ საერთო მდგომარეობას და მთავრობის პოლიტიკას. ხალხი გულდასმით უსმენდა მას და უზიარებდა თავის ჭირ-ვარამს. ჯავახეთს, რომელმაც თავის ტყავზე გამოსცადა საშინელება ომიანობისა და შინაური ანარქიისა, კარგათ ესმის სიმწვავე დღევანდელი ჩვენი პოლიტიკური მდგომარეობისა. ამაში ნათლად დარწმუნდა მთავრობის წარმომადგენელი მაზრაში მოგზაურობის დროს. ხალხი, განურჩევლად ეროვნებისა: ქართველი, მუსულმანი, სომეხი, რუსი, დუხობორი ნდობას უცხადებდა და სრულ დახმარებას აღუთქვამდა ჩვენს მთავრობას. განსაკუთრებით აღფრთოვანებით შეხვდა მის გამოსვლას ქართველი კათოლიკეობა სოფ. ხიზაბავრაში. „ოღონდ დაგვიცვას მთავრობამ და მზათ ვართ ქუდზე კაცი გამოვიდეთ ჩვენი სამშობლო საქართველოს დასაცავათ. კმარა რაც გვტანჯეს ჩვენმა მოსისხლე მტრებმა“,—გაიძახოდა ხალხი.

ბ-ნი ქარცივაძე ამასთანავე რევიზიას ახდენდა ადმინისტრატიულ დაწესებულებებში. მან მრავალი ცნობები შეაგროვა ადმინისტრაციის ზოგიერთი წარმომადგენლების შესახებ. მან მოუყვა ის, რომ ზოგიერთი კომისრები და მილიციის უფროსები გადაყენებულ იქნენ სამსახურიდან, ზოგიც პასუხისგებაშია მიცემული და შეპყრობილი. ამგვარად, ადმინისტრაცია გაწმენდილ იქნა იმ ელემენტებისაგან, რომლებიც ბოროტად სარგებლობდნენ მთავრობისა და ხალხის ნდობით და ხალხმაც თავისუფლათ ამოისუნთქა. სასურველია მთავრობის ან დამფუძნებელი კრების წარმომადგენლები ხშირად ესტუმრებოდნენ ჩვენს ბედის ამარათ მიტოვებულ ჯავახეთს.

დროებით ჯავახელი.

—

სოფ. ქვიშხეთი. 16 მაისს შესდგა სოფ. ქვიშხეთის მცხოვრებთა საზოგადო კრება (დაესწრო 500 მოქალაქე), სადაც ხაშურის რაიონის სოციალ დემოკრატიულ პარტიის მიერ გაგზავნილმა ამხანაგებმა ვასო ზაქარეიშვილმა და ზაქარია შარაშიძემ გააკეთეს მოხსენება თანამედროვე მომენტზე, რის შემდეგაც ერთხმათ იქნა მიღებული შემდეგი რეზოლუცია: ქვიშხეთის მცხოვრებთა საზოგადო კრებამ მოისმინა რა მოხსენება თანამედროვე მომენტზე ამხ. ვასო ზაქარეიშვილისა და ზაქარია შარაშიძისა და გაითვალისწინა რა ის უბედურება, რომელსაც უმზადებს ოსმალოთა გამანადგურებელი პოლიტიკა, დაადგინა: მხარი დაუჭიროს დამფუძნებელ კრებას და მის მთავრობის მიერ გატარებულ ნაბიჯებს, საქართველოს დამოუკიდებლობის, თავისუფლების და მოპოვებულ თავისუფლების განმტკიცებისაკენ მიმართულს; ამიტომ აძლევს ყველა დამფუძნებელ კრებას და მის წინაშე პასუხის მგებელ მთავრობას და უკანასკნელ სისხლის წვეთამდე დაიცავს დამოუკიდებლობას და თავისუფლებას.

ზ. ერმილეიშვილი.

წერ. რედაქციის მიმართ

ამ თვის თვრამეტში მე დამეკარგა მესხეთ-ჯავახეთის ათასეულის პირველი და მეორე ასეულის გვარდიელთა აპრილის ჯამაგირების სიები. ვინაიდან ყოველივე ცდამ სიების ძებნისამ უქმად ჩაიარა, ამიტომ მივმართავ იმ პირთ, რომლებსაც ექნებათ ნაპოვნი ეს სიები, მათთვის ყოვლადვე ღირებულებას მოკლებული, დამიბრუნონ მე და გამოიყვანონ ფინანსურ მდგომარეობიდან. სიები იყო გახვეული გაზეთში.

ახალციხის გვარდიის საოლქო შტაბის თავმჯდომარე ივანე ვ. ხმალაძე.

განცხადებანი

გამოცდილი მოანგარიშეები

საჭიროა რესპუბლიკის ერობათა კავშირის კომიტეტისათვის. ქართულის ცოდნა სასურველია მაგრამ არა სავალდებულო. მისამართი პირადათ ან წერილობით რუსთაველის პროსპექტი, № 24.

(ნ. 2—2)

რბილი საპონი

რომელიც იხმარება ქეციან საქონლის წამლათ, დასაბანათ ცხვრისა, მატყლის გასარეცხათ და აგრეთვე სადეზინფექციებისათვის

sapo viridis

იყიდება: რუსთაველის პრ. № 8. მაღაზია ან მინა კირშამფისა.

(1645—3—3)

ქალბ. მ. ბოლშტეინი

თვალით ავადმყოფთ (სათვალეების გასინჯვა) დილის 9—12 ს. 4—7 საათ. საღ. ნიკოლოზის ქ. № 32.

(1537 თ.)

რკ. გზის [illegible]

ესაჭიროება

[illegible] 200 [illegible]

(1376 1—1)

ექიმი

ნ. მ. ბაქრილაძე

(შინაგან და ბავშვთა სნეულებათა) ავადმყოფებს იღებს დილის 8—10 საღამოს 4—7 ს. გრიბოედოვის ქ. № 4.

(ა. 25—1)

ექიმი

ნ. ა. არუთინოვი

სპეციალურათ: სიფილისი (606 და 914) ვენერიული ტრიპერი, შარდის ორგანოების ოპერაცია ცისტოსკოპია (საშარდე მილის). მიხეილის პრ. № 80, ბინა 3. მიღება დილით 9—12 ს. საღ. 4 ნახ. 6 ნახ. საათამდე.

(1555—თ.)

ექიმი

ა. ლევენშტეინი

შინაგანი და ნერვით სნეულებანი რენტგენის და ელექტრო სამკურნალო კაბინეტი. მიღება დილის 11—12 ს. და საღამოს 4—7 ს. კრილოვის ქ. № 5 ბინა 3, ტელეფონი 12—46.

(1518—თ.)

ექიმი

ნ. ლ. ცერიაშვილი

იღებს ქალთა და საშვილოსნო სნეულებით ავადმყოფებს მუდამ დღე შუადღე 1—2 და საღ. 4—5 ნერეზნოვის ქუჩა № 22 კუთხე ტერ-გრიგორევის ქუჩისა.

(1825—25—3)

ექიმი ა. დ. კაკელია

სპეციალურათ: სიფილისი (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული და კანის სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილით 9—11 და საღამოთი 4—6 საათამდე. მისამართი: მიხაილოვის პროსპექტი № 116, სასტუმრო „ნიცა“-ს პირდაპირ. ტელ. 14—26.

(1343 25—1)

თფილისში

პროფესორის ლუკინის ასისტენტი

ვ. პ. მისაშვილი

გადმოვიდა გრიბოედოვის ქუჩაზე ა. ი. არჯევანიძის სახლში, № 5, ქაშვეთის ეკლესიის ახლოს, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. მიღება შინაგანი და ნერვების სნეულებებით ავადმყოფებისა დილით 12—1 ს., საღამოთი 5—8 საათამდე.

(1337—25—1)

ოზურგეთში

ქალბ. აბაშიძე

ღებულობს ავადმყოფებს შინაგან სნეულებით; ფილტვების, გულის, კუჭის და წლოვანების. უმკურნალებს აქიმობა „ტუბერკულინით“ და „ფილატოვით“, ვენერიული: სიფილისი და მისი შეშხაპუნება—„914“ და „606“ შეშხაპუნებით. ქ. საზაფხულო სახლში.

(ქუჩ. 336.)

კბილის ექიმი

ე. თ. ლორის-მელიქოვი ჯოზლაკისა

დოქ. მისი ასისტენტი მ. ა. დოლიძე იღებს კბილით ავადმყოფებს: აკეთებს ხელოვნურ კბილებს, ასწორებს უსწორმასწორო კბილებს. ავადმყოფებს მიიღებს დილის 10—2 საათ. და საღ. 4—6 საათ. ანას ტატიის ქუჩა № 13. ტელეფონი 3—63,

(24—5)

ექიმი

ნიკოლოზ მახვილაძე

იღებს განსაკუთრებით შინაგან სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოს 4—6 საათამდე. მისამართი: მუხრანის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის მახლობლად.

(1255 48—5)

ქალბ. მ. ა. შაფრანი

სპეციალურათ სიფილისი და მისი შეშხაპუნება (შეშხაპუნება „606“ და „914“) ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავადმყოფების მიღება ყოველ დღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალებს 4—5 ს. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამართი ოლღის ქუჩა № 33.

(1286 25—3)

დოქტორი

მ. გ. მეგრაბიანცი

შინაგან ავადმყოფობა—შარდის და გულის. იღებს ახალ რენტგენ-ელექტრო კაბინეტში. გამოკვლევა და წამლობა სხივებით. ზუბალოვის ქ. № 33, ტელეფონი 7—92, მიღება ყოველ-დღე 9—12 ს. და საღამოს 6—8 საათამდე.

(1350 25—1)